სახალხო გაზეთი

№ 628 სამშაბათი, 19 ივნისი, 1912 წ. № 628

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტით ტექსტის წინ 20 კ., უკან 10 კ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითო-ჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მ. 4 საათის შემდეგ მიიღება მხოლოდ თვით სტამბა „შრომა"-ში, მუხრანის ქუჩა, და ეღირება 4 მანეთი.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. და მ. მეტცლ და ამხ.-ების განცხადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვში, მიასნიკის ქ., ს. სიტოვისა და მის განყოფილებებში: პეტერბურგში—მორსკაია 11, ვარშავაში—მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში—ბირჟის მოედანი.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება „სახალხო გაზეთი"-ს რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3-მდე. საღამოთა 5-ოან 7-მდე.

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავ ნაწერებზე და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოუბრალებელი. ბარდან მოლაპარაკება შეიძლება ყოველ-დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა 40 კაპ.

რედაქცია და კანტორა იმყოფება: ტფილისში, სასახლის ქ., სარაჯიშვილის სახ. № 6. ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისთვის: ტფილისი, ქართული „სახალხო გაზეთი" 190.

ტელეფონი № 12-29.

გაზეთის ფასი წელიწ. 8 მ. 50 კ. ცალკე № ყველგან 5 კ.
„ „ თვეში — 75 კაპ. დამატებიანი 7 კ.

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გამოცემა.

მისამართის გამოცვლა:

ტფილისისა ტფილისს გარეთისაზე ღირს . . . 40 კაპ. შეიძლება
და ქალაქ გარეთისა ქალაქ გარეთისაზეც ღირს მარკებით.
ტფილისს გარეთისა ტფილისისაზე . . . . . უფასოდ.
და ეხლანდელი მისამართი ძველ მისამართზე .

ხელის მომწერმა, რომელიც მისამართს იცვლის, უნდა შეგვატყობინოს დაწვრილებითი მისამართი, როგორც ძველი (ქალაქ გარეთელთ შეუძლიანთ გაზეთის ბანდეროლი გამოგზავნონ) ის ეახალი.

„სახალხო გაზეთი"-ს კანტორა.

სახალხო გაგეთი სურათებიანი დამატებით მიიღება ხელის მოწერა 1912 წლისათვის.

(არ მიიღება ხელის მოწერა ცალკე უდამატებოდ და არც სურათებიანი დამატება იყიდება ცალკე).

წლიური ხელის მომწერნი იღებენ პრემიად 1 წ. „გრდემლს".

წელიწადში ღირს 8 მან. 50 კაპ.
თვეში ღირს — 75 კაპ.

(როგორც ქალაქში, ისე ქალაქ გარეთ).
საზღვარ-გარეთ თვეში ზედ-მეტი 25 კაპ.

წლიურ ხელის მომწერთ 8 მ. 50 კ. უნდა ჰქონდეთ ადახდილი შემდეგ ვადებზე: პირველად 3 მან., მარტისათვის 5 მან., 1 მაისისათვის 7 მ. და დანარჩენი უნდა გადახდილი იყოს **1-ლ ივლისამდე.**

გაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლოდ თვის 1 რიცხვიდან, მხოლოდ სრული თვეებით და მხოლოდ მიმდინარე წლის ბოლომდე.

გაზეთს, ფულის მიღების უფლებით, არსად არავითარი აგენტი არა ჰყავს (გარდა წ.-კ. ს. მთავარ გამგეობის ტფილისის წიგნის მაღაზისა) და ამიტომ პასუხს აგებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ფული ან ფოსტით აის გამოგზავნილი, ან პირდაპირ კანტორაშია მიღებული.

რედაქცია დაუბეჭდავ ნაწერების შესახებ ავტორებთან მიწერ-მოწერას არ ჰმართავს, თუნდ სპასუხო მარკაც იყოს გამოგზავნილი და დაუბეჭდავ წერილებსაც არ ინახავს. დანარჩენ შემთხვევაში ყოველ შეკითხვის ან რაიმე ცნობის შესახებ საპასუხოდ საჭიროა **ფოსტის მარკა.**

დანარჩენი პირობები იხ. გაზეთის სათაურში.

მშობლები და **ქვრივი** გარდაცვალებულისა აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ დღეს, 19 ივნისს, ეკერის წმ. ნიკოლოზის ეკლესიაში გადახდილი იქნება 40 დღის წირვა და პანაშვიდი განსვენებულ

დავით ვასილის ძის
გაბაშვილის
სულის მოსახსენებლად. (1.521.1)

ოქროპირ ზაქარიას ძე ბერაია და **შვილები მისი: სპირიდონ, ლევანტი, გრიგოლი** და **მარუსია შამშეს ასული ბერაიასი** მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ამხანაგებს, რომ 16 ივნისს ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა პირველის ძვირფასი მეუღლე, მეორენის საყვარელი მშობელი დედა, უკანასკნელის, დაუვიწყარი დედამთილი

ირინე ნეფარიშვილის ასული ბერაიასი.

დაკრძალვა იქნება 19 ივნისს, სოფელ რომეთში გურიის წმიდა გიორგის ეკლესიაში. (5.520.1)

ახალი კლუბი

ხუთშაბათს, 21 თიბათვეს **„საბავშო საღამო"** სინემატოგრაფი, სხვა და სხვა სათამაშოები და კონცერტი სიმფონიური ორკესტრისა. დასაწყისი საღამოს 5½ საათზე
ბოლო საღამოს—9 საათზე. სამბავშვო საღამოს შემდეგ

საზანდარი

შესასვლელი ფასი: სტუმარი ბავშვები იხდიან—15 კაპ., მამაკაცნი—50 კ., ქალები და სტუდენტები—25 კ. (3—1306—1)

ამ დღეებში ქ. გ ო რ შ ი გამოვა ყოველდღიური სალიტერატურო, სამეურნეო, სავაჭრო, სასოფლო გაზეთი

ქ ა რ თ ლ ი

გაზეთი ყოველკვირეული სურათებიანი დამატებით ეღირება წელიწადში 5 მან., უდამატებოდ 4 მ., თვიურად 11 შაური, **ცალკე ნომერი 3 კაპ.**
რედაქტორ-გამომცემელი **ია ეკალაძე-ცინცაძე.**
ფული და დასაბეჭდი წერილები უნდა გამოიგზავნოს **ი. ცინცაძის** სახელზე. (5.1333.5)

დაარსებულია 1904 წ. **სანატორიუმი** მთის სადგური 1000 ფუტის სიმაღლეზე.
და საზაფხულო სამყოფი
ექიმ ვახტანგ დ. ღამბაშიძისა
პატარა ცემი
მოზარდ ქალ-ვაჟთათვის, ასაკით 8—15 წლამდე. სეზონი 15 ივნისიდან 31 აგვისტომდე. დაწვრ. ცნობებისთვის მიმართეთ ექ. **ვ. ღამბაშიძეს,** ქ. ტფილისს.

მიიღება დაქანცული და ნაავადმყოფარი, მადა დაკარგული, სისხლ-ნაკლები, ჭაობიანი ადგილებით დაავადმყოფებულნი. **არ მიიღება** სიცხეებით დაავადმყოფებულნი, (25.1291.23)

ტფილისის კერძო სამკურნალო

ძლევიეშვილის ქუჩა, საკუთ. სახლი, № 7, ვეტცელის სასტუმროს და მიხეილის პროსპექტ. ახლო
ტ ე ლ ე ფ ო ნ ი № 590.

სტაცი ნალური განყოფილება მოწყობილია 50 საწოლით, განსაკუთრებითი სამშობიარო განყოფილება.

მწოლიარე ავადმყოფების მიღება შეიძლება ყოველ წამს, გარეშე მოსიარულე ავადმყოფებს მიიღებენ შემდეგი სპეციალისტი-ექიმები:

შინაგანი ავადმყ.	**ლამბაშიძე ვ. დ.** (ყოველ დღე, გარდა კვირისა). 11½—12 საათ.
	დავითიანი რ. ს. (ყოველ დღე) 1—2.
	ჭიკოძე ტ. ს. (ორშაბათ. და ოთხშაბ.) 9—10.
	ბალალაშვილი გ. გ. (ორშაბ., სამშაბ. და შაბათობით) 10—12.
	მანსვეტაშვილი ვ. მ. (ორშაბ., ოთხშაბ. და პარასკ.) 2—3.
	მიქელაძე შ. ბ. (ყოველ დღე) 12½—1.
	ფედოროვი ე. გ. (ყოველ დღე. გარდა ოთხშაბ. და კვირისა) 12—1.
სიფილიტიკ. ქალთა ავად.	**მარკევიჩი ვ. ლ.** კონსულტატი (ორშაბ., ოთხშ. და პარასკ.) 11½—12½.
	მელიქიშვილი ნ. მ. (ყოველ დღე) 10—1.
	ფირადოვი რ. ბ. (ყოველ დღე) 12—1.
საშობაო-ქალ. სურულებანი.	ექიმი-ქალი **ვერბიცკი-ფირადოვისა ლ.** (ყოველ დღე) 11—12.
	მელიქიშვილი ნ. მ. (ყოველ დღე) 10—1.
	სულაკოვი ა. ი. (ყოველ დღე) 12—1.
	თოკაბაძე ი. ე. (ყოველ დღე) 1—2.
ბავშვების ავადმყოფ.	**ღამბაშიძე ვ. დ.** (ყოველ დღ. კვირ. გარდა), 12½—12 ს.
	მიქელაძე შ. ბ. (ყოველ დღე) 12½—1.
	ფედოროვი ე. გ (ყოველ დღე გარდა ოთხშაბ. და კვირისა) 12—1.
ნერვ. წამლ. ელექტ.	**გედევანიშვილი მ. ა.** (შაბათობით) 10½—11.
	დავითიანი რ. ს. (ყოველ დღე) 1—2.
ყელ. ცხვ.	**ათენიანცი ნ. ა.** (ყოველ დღე) 1—2.
	ორეშმოვსკი ნ. ს. (ყოველ დღე) 2½—3.
თვალის ავ.	**მუსხელიშვილი ვ. ს.** (ორშაბათობით, ოთხშაბ. და პარასკ. 2—2½.
კბილ. ავად.	**მზარეულიშვილი მ. ი.** (ყოველ დღე) 1—1½.

სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი სამიკროსკოპიო და სბიქტერიოლოგიო ლაბორატორია. სისხლის გასინჯვა, ათ მანგ. Wassermann. რენტგენისათვის 50 კ., საწოლები 2 მ. დაწყებული. ცალკე ოთახი 5 მანეთიდან. მშობიარობა 10 დღე წოლით ღირს 40 მ. ოპერაციები, კონსულიუმი. შარდის ბუშტისა და მილების კაცეტერიზაცია; „606" **წამლის შეშხაპუნება,** ელექტრონით წამლ., მასსაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება და სხვა შეღავათიანი საფასურით. (წ. 1010.44)

საგურთალოზე

მშვენიერ ალაგას,

ახლად აშენებულ ეკლესიისა და დიდუბის მომავალ ხიდის მახლობლად დაიკრა 20 დესეტინა მამული და იყიდება წვრილ ნაკრებად ოთხკუთხ **საჟენი 80 კ.-დან.**

მსურველთ შეუძლიანთ მიჰმართონ ალლას ქუჩაზე, სახლი № 6, სოლომონ ივანეს ძე **თაქთაქიშვილს,** ღლის 6 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. საღამოს 5 საათიდან 8 საათამდე. უმორჩილესად ვთხოვთ მიწი მყიდველებს, რომ **თავის დროზე შემოიტანონ დარჩენილი ფული,** თანახმად ჩვენგან მიღებულ კვიტანციისა.

(წ. 1147 318)

დ. სპტრედიაში

—ხდგურის პირდაპირ—

ახლად გახსნა საუცხოოდ მოწყობილი რესტორანი

„ინტელიგენტი"

აზიური და ევროპიული სამზარეულოთ, ზომიერ ფასებში; თვიურად აბონენტის ფასი: 2 თვისაგან 10 მან. 3 15 მან., 4 თვისაგან 18 მ. ერთი ჭიქა ღვინო.

პატივისცემით **დ. ჭონკოტაძე.**

(4—1342—1)

ვაგზლის კერძო სამკურნალო

გარედან ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ვაგზლის ქუჩა № 8. ტელეფონი № 695.

ე. ს. ვაშაკი. ყოველ დღე, შინაგან ავადმყ. 9½ ს. 1 ს.,

ა. ნ. დიასამიძე ყოვ. დღე, კვირ. გარდა. სიფილ, კანის და ვენერ. 11 12 ს.

ბ. ა. ბოპოვი ავ. დღე, კვირ. გარდა ყელ, ყურ. და ცხვ. ნეულ. 11 11 ½.

შ. ა. მიქელაძე შინაგან და ბავშვთა ავადმყ. 1 2 ს.

ნ. მ. მელიქიშვილი. ქირურგიული და ქალთა ავადმყ. 1 2.

მიკროსკოპიული, ბაქტეიოროლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი; აგრედვე ყვავილის აცრა და ძიძის ვასინჯვა. ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

ოპერაციები და კონსულიუმი მორიგებით,

წამლოგა „606"-ი.

(წლ—1018—288).

ექიმი **ი. ი. ერეშვილი** სწამლობს **აშარდე** ორგანოთა, **ათაშანგისა** და **კანის** ავადმყ.; **ვასსერმანის** რეაქციით იკვლევთ შანგ. მოწამლ. სისხლს. მიღება ნაშუად. 3—5½ ს. **ელისაბედ. ქ.,** № 94, საფოსტ. განყოფი. პირდ. (5—1178—57)

ექიმი **ე. ვ ფ ა ა კ ი ძ ე** იღებს შიგნ. სნეულ. ავადმყოფ. დილის 9—3 საათ. საღამოს 7 ს., ბაქის ქუჩა, № 12.

სამკურნალო

სპეციალისტ სამხედრო ექიმებისა გარედან მოსიარულე ავადმყოფთათვის. ვანქის დი.-ქ.ზე, № 3, ალექსანდრეს ბაღის მახლობლად. ტელეფონი № 483.

ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

ავადმყოფთა მიღება 9½-დან 5 ს.-დე.

ახპისოვი. ცხვირ., ყელ. და ყურისა. ყოველ-დღე. 1—2 საათამდე.

მღებრიშვილი—შინაგ., ბავშვ. ორშაბ. ოთხშ., პარასკ., კვირაობით 4—5 ს.

გრეიცი—თვალ. ავადმყ., ყ.-დღე 12-1 ს.

არგუთინსკი, შინაგ., ბავშვ. ყ.-დ. 10 ს 1½ ს.

მონსე. ბავშ. და შინაგ. ავად. ორშ., ოთხ. პარასკ. 2—3 საათ.

ნოვიცკი. ქალთა ავად., ყ.-დ. 1—2 ს.

კალამკაროვი. ქალ. ავად. ყ.-დღ. 12—1 საათ.

უკლადნიკოვი. შინაგ. ავად. სამშ., ხუთშაბ. 4—5 საათ.

თეთრაძე. სიფ., ვენერ., კან. ყ.-დ. 1—3 ს.

ჩუდნოვსკი ი. ნერვ., სულ., ელექტროტერაპია, ყ.-დღე გარდა კ.-უქმისა 11½—1 ს.

რუდენკო. შინაგ. ავად. კონსულტანტი ხუთშ., კვ. 3—4 ს.

ვესელოვზოროვი ქირურგ. ავად. ყოველ დღე 2—3 საათ.

ერმოლაევი—ბავშვ., შინაგან.-ყ. დღ. 1-2 ს.

ტერ-ნერსესოვი. ქირურგ. ყოველ დღე გარდა ხუთშ. 1—1½ ს.

იოსელიანისა ქალ. ავად., ორშ ოთხშ., პარასკ., კვირ. 11—12 საათ.

ბესსერი შინაგ., ნევრ.-ავადმ. — სამშ., ხუთშ, შაბ. კვ. 2—3 ს.

ბაგდოევისა, კბილ. ყ.-დღე 3—5 ს

ლიმონი. კბილ. ყ.-დღ. 10—1 ს.

გურგენიძე შინაგ., სამშ., ხუთშ. 4—5 ს.

კუნთებში შეუშხაპუნებენ და ძარღვებში შეუშვებენ „606"-ს

საღამოს 5—7 საათამდე.

კონსულტანტი ხირურგ. ავადმყ. დამსახურ. პროფეს. სიმპერ. სამხ. მედიკ. ავად. პროფ. მ. ს. სუბოტინი ორშ., ხუთშ. 3—4 საათ., წიდაწრნვე ჩაწერით. (თ—1234.18)

დოკტორი მედიცინისა

ი. ე. თიკანაძე

სამკურნალო აკადემიის სამშობიარო და სადოსტაქრო კლინიკების ორდინატორად ნამყოფი, იღებს ფეხმძიმეთ, დედათაბუნების. სადოსტაქრო და საშარდე ორგანოთა (ვენერიულის გარდა) სნეულებით ავადმყოფ მანდილოსნებს. ყოველ დღე საღამ. 5—7-მდის, კიროჩნის ქ. სახ. № 18, თავ. ვაჩინაძისა. ოფიცერთა ეკონომიურ საზოგადოების მაღაზიის პირდაპირ.

საშარდე ორგანოთა სნეულებით ავადმყოფნი მხოლოდ ხუთშაბათობით და კვირაობით მიიღებიან. ტელ. № 1182. (თ. 1037 189)

ელექტრონისა და რენტგენის
სამკურნალო

მიხ. გედევანიშვილისა

ავადმყოფებს იღებს ყოველ-დღე დილ. 12—1 ს., საღამოს 6—7 ს., გაშინჯვა და გადაღება რენტგენის სხივებით. ვერა, ყორდანოვის ქ. № 20. (წ.—1022—40)

ექიმი **ე. ი. მინასიანცი** შინაგან, ბავშვთა, კუჭისა და ნაწლევ, სნეულებათა, პარიზელ პროფეს. Mathien-ის სპეციალურ კლინიკიდან. დებულობს დილ. 9—11 ს.-დე და საღ. 6—7 ს.-დე. ელისაბედის ქ., № 39, ტელეფონი № 1067 (100—117—183).

ექიმი **ივ. ბოგმართელი** მიიღებს ავადმყოფთ დაბა **ბოლნისში** პირველ თიბათვიდან—პირველ ენკენისთვემდი. (25.468.18)

ექიმი **კბილისა და ღრძილებისა პ. ა. ძაბაია** იღებს ავადმყოფებს დილით 8—2 ს. საღამოთი 3—7 საათამდე. ელისაბედის ქუჩა, № 151 (ტიფლისი). (თ.—1049—1 2)

ექიმი **პ. არდაზიანი** შინაგან და ბავშვებ. ავადმყ. (სპეციალ. ფილტვებ. სნეულ. რევმატიზმი-ქარები) ტფილისი, ალექსანდროვის ქუჩა, № 3. 11—1 ს. საღამ. 5—7. (25.1045.1.7

ექიმი **ქალი კბილისა ნინო რცხილაძე** 20 ივნისიდან მიიღებს ავადმყოფებს **ქ. თელავში** 9—3 საათამდე.

ექიმი **შ. ა. მიქელაძე** იღებს **შინაგან და ბავშვათა სნეულებებან** ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 5 ნახ.—6½ საათ. კაზეთის ქ., № 1

ექიმი **კ ბ ი ლ ი ს ა ა ბ ა ს თ უ მ ა ნ შ ი ალ. სოლოდაშვილი** იღებს ავადმყოფებს. აგარაკი ტერმარქაროვისა. (0—1334—5)

ექიმი **ვ. მუსხელიშვილი** მიიღებს თვალის ავადმყოფ ყოველ დღე დილ. 9—11 ს. დიდი მთავრის ქ., № 67. სახლი სვანიშვილისა

ნ ა რ კ ვ ე ვ ი

(ჟურნალ-გაზეთებიდან)

„რა ხდება ჯვაროსან საქართველოში". (ვ. კ. საბლერის საყურადღებოდ).

ამ სათაურით „ს.-პეტერბ. ვედომ." მოთავსებულია ნ. დურნოვოს წერილი, რომელიც უცვლელად მოგვყავს:

„რისთვის ითესება თესლი შურისა და სიცრუისა? აი კითხვა, რომელიც გვინდა მივსცეთ, როგორც დიდ ბატონს კარ-ინოკენტის, ისე ტფილისის ბ.ბ. პატრიოტ-ნაციონალისტეას, რომელთაც ისეთი პატრიოტი გაგზავნეს სახ. სათათბიროში, როგორიც ხელოსანი ტიმოშკინია.

3 მაისს, თელავის ტაძარში ყოველდასამღვდელო დავითი გამოეთხოვა თავის ალვავერდ-კახეთის სამწყოს. ტაძარი გაჭედილი იყო თავად-აზნაურობით, სამღვდელოებითა და ხალხით, რომ გამოსთხოვებოდა თავის საყვარელ მწყემსთავარს. პარაკლისის გათავებისა შემდეგ ერთმა პატიოსანმა და პატივცემულმა ქართველმა მიმართა ყოვლად სამღვდელოს გამოსათხოვარი სიტყვით, ოომლითაც გამოსთქვა აზრი, რომ მას, მწყემსთავარს, სდევნიან საქართველოდან იმიტომ, რომ იგი ჭეშმარიტი, სულითა და ხორცით სპეტაკი ეპისკოპოსია, მსახური თვისი ხალხისა და სამშობლოისა, რომ სან უკანასკნელი შეძლება თვისი ღარიბ-ღატაკთ მისცა და რომ ქართველმა ხალხმა დიდი ხანია დაიფასა იგი... ახლა—თქვა ორატორმა—ეძებენ არა სულითა და გულით ჭეშმარიტ, არამედ კარიერისტებს, რომელნიც მზად არიან ვეცხლად გაჰყიდონ ეკლესია ღვთისა და ხალხი; ეძებენ ფარისევლებს, პოლიტიკანებს, რომელნიც საუკეთესო ადამიანთა დევნაზე აშენებენ თავის წარჩინებას. დადგა დრო გარკვეული ბრწყინვალების მოტრფიალე ხალხისათვის, რომელნიც კეკლუკობენ და სურთ თავი მოაწონონ გრაფინიებს, კნეინებს და სხვ.

ქართველი ხალხი, რომელიც სარწმუნოებრივ საქმეებში მუდამ მოძთმენი იყო, მოეწონება ბრწყინვალე დღესაც; ამის წინამორბედია, კირიონს შემდეგ, ეპისკ. დავითი, რომელიც გულწრფელობისა, აზრიანი მოქმედებისა და თვისი ეკლესიის სიყვარულისათვის იდევნება საქართველოდან.

შემდეგ წარმოითქვა კიდევ რამდენიმე სიტყვა; მწყემსთავართან გამოთხოვების დროს ხალხი ტიროდა. ტფილისში ყოველად სამღვდელო 7 მაისს ჩაბრუნდა. მეორე დღეს მის მეუფებას წარუდგა დეპუტაცია თავად-აზნაურობისა, სამღვდელოებისა, პრესისა, ვაჭრებისა და ხალხისა, რომელიც სთხოვდა მას 14 მაისს ეწირა სიონში ან ქვაშვეთის ეკლესიაში, რომ წასვლისას კურთხევა ეიღეა ხალხისათვის. ამა თანავე თავ-აზნაურობის წარმომადგენლებს უნდა მიერთმიათ ხატი, სამღვდელოებას—არქიელის კვერთხი, ხოლო ვაჭრობას—პანაგია.

ყოვლად სამღვ. დავითი და თანხმდა ქვაშვეთის ეკლესიაში წირვას, რის შესახებაც აცნობა ტაძრის კანდელაკს თოთიბაძეს. კანდელაკმა მოახსენა ეგზარხოსს, ხოლო ეგზარხოსმა მიიხმო ხელნაწერი ეკლესიის დეკანოზი ცინცაძე და გამოუცხადა, რომ ხებას არ მისცემს წირვისას პიატიგორსკის ეპისკოპოსს. პასუხი დიდად არამოსწრებულია, რადგან თვით ეგზარხოსი, საეკლესიო კანონების დარღვევით, მართავს ივერიის ეკლესიას.

მთელი ქართველი საზოგადოება აღელვებულია ეგზარხოსის მოქმედებით. 13 მაისს ეპისკ. დავითი გავიგზავნა პიატიგორსკს.

ტფილისში მისი დარჩენა შეუძლებელი შეიქმნა: ეკზარხოსისაგან დაყენებულ დარაჯს უნდა ჩაეწერა ყველა, ვინც ყოვლადსამღვდელოს სანახავად მივიდოდა".

სახელმწიფო საბჭო

დეპეშები.

თავმჯდომარეობს აკიმოვი.

საბჭომ უკამათოდ მიიღო სათათბიროს რედაქციით 26 პატარა კანონპროექტი. სხვათა შორის მიიღეს კანონპროექტი, რომელიც ეხება საგუბერნიო და საგლეხო მმართველობათა მოხელეთათვის ჯამაგირის მომატებას.

საბჭომ **გოლუბევის,** თავმჯდომარეობით მიიღო შემთანხმებელ კომისიის მიერ მიღებული კანონპროექტები.

შენობის აგების უფლების კანონპროექტმა ძალიან დიდი კამათი გამოიწვია. ბოლოს ისიც სათათბიროს რედაქციით მიიღეს.

სათათბიროსავე რედაქციით მიიღეს სამხედრო ბეგრის მოხდის წესდების შეცვლის კანონპროექტი.

შემდეგი სხდომა მოხდება 19 ივნისს.

ახალი ამბავი

ტფილისი

✦ **წირვა და პანაშვიდი დ. ზ. სარაჯიშვილის სულის მოსახსენებლად.** კვირას, 17 ივნისს, განსვენებულ მოღვაწისა და ქველმოქმედის დავით ზაქარიას ძის სარაჯიშვილის გარდაცვალების წლის თავზე დიდუბის ეკლესიაში გადახდილ იქმნა წირვა და პანაშვიდი. მწირველი იყო გორის ეპისკოპოსი ანტონი არქიმანდრიტების პიროსისა, ნაზარისა და იეროფეისა და ქალაქის სამღვდელოების თანამწირველობით. პანაშვიდი გადახდილ იქმნა ეკლესიის გალავანში განსვენებულის საფლავზე. პანაშვიდის წინ ეპისკოპოსმა ანტონიმ სიტყვა წარმოსთქვა, რომელშიაც მოკლედ დაახასიათა დ. ზ. სარაჯიშვილის მოღვაწეობა. წირვისა და პანაშვიდის დროს ქართულ საფილარმონიო საზოგადოების მომღერალ-მგალობელთა გუნდი გალობდა. დაესწრნენ: ტფ. გუბერნიის თავად-აზნაურობისა, ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელ. საზოგადოებისა, ქალაქის თვითმმართველობისა, საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებისა, ქართულ გიმნაზიასთან არსებულ სასადილოსი, ქართულ-რუსულ პრესისა და სხვა დაწესებულებათა წარმომადგენელნი, განსვენებულის ქვრივი, ნათესავ-პატივის მცემელნი და სხვანი.

✦ 17 ივნისს დ. ზ. სარაჯიშვილის სულის მოსახსენებლად წირვა და პანაშვიდი სოფელ დიღომშიც გადაუხდიათ.

✦ **ქალაქის გამგეობამ** განკარგულება მოახდინა სხვა და სხვა საქველმოქმედო დაწესებულებას, რომელსაც ქალაქის შემწეობა აქვს დანიშნული, ფული არ მისცენ, ვიდრე თავის მოქმედების ანგარიშს გამგეობას არ წარუდგენს.

სწრაფი სამკურნალო დახმარება. დღეს გუბერნატორის ბინაზე, დროებითი კომიტეტი ითათბირებს ტფილისში სწარფის სამკურნალო დახმარების საქმის რიგიანად დაყენების თაობაზე.

✦ **ხოლერის მოლოდინში.** ასტრახანში ერთი ხოლერიანი აღმოაჩინეს. რადგანაც ხოლერის გაჩენა ტფილისშიაც არის მოსალოდნელი, ამიტომ ქალაქის გამგეობამ განკარგულება მოახდინა, რათა ყოველი ღონე იყოს მიღებული ქალაქში სისუფთავის დასაცველად. დათვალიერებულ იქმნება სავაჭრო-სამრეწველო დაწესებულებანი და კერძო სახლები.

ს. პეტერბურგ. ვედომოსტების“ 132 ნომერში (13 ივნისისა) დაბეჭდილია საკმაოდ ვრცელი და ფრიად საგულისხმო წერილი **ნ. დურნოვისი „საქართველოს ექსარხოსი და ქართველი ბერობა.“**

ფერშლის მსხვერპლი. უდელნი ქუჩაზე, სახლში № 19, სცხოვრობდა ია ეის მაზრის სოფელ ხალჩის მცხოვრების ცოლი ანნა ფრიდონის ასული გიორგობიანი, რომელსაც ყელში ჩიხვი ჰქონდა. რადგანაც ჩიხვი ქალს აუშნოებდა, მან გადასწყვიტა მოეჭრა იგი და 13 ივნისს კიდეც მოიწვია თიანეთის მაზრაში ფერშლად ნამყოფი ტფ. მოქალაქე ილარიონ ვასილის ძე ივანოვი, რომელმაც ქალს ყელში ჩიხვი ამოსჭრა. ოთხის საათის შემდეგ ქალი გარდაიცვალა. ქალის გვამი 15 ივნისს გასჭრეს და ქალაქის ექიმმა იაშვილმა გამოარკვია, რომ ქალი ჩიხვის ამოჭრამდე სრულიად საღი ყოფილა და გარდაცვალებულა იმიტომ, რომ ფერშალს უშნოდ ამოუჭრია ჩიხვი; გაუჭრია სასუნთქი და სხვა ადგილები. ფერშალი სამართალში მისცეს.

ტფ. გუბერნატორმა პოლიციმეისტერსა და მაზრის უროსებს აცნობა, რომ უმაღლესად ნება დართულია, ფული შეაგროვონ არხანგელგსკი მ. ვ. ლომონოსოვის სახელობის მუზეუმის დასაარსებლად.

ქალაქის საბჭოს ხმოსნებმა ყარა-მურზამ და პ. ბ. კიზირიამ გუშინ ქალაქის გამგეობას განცხადებები წარუდგინეს, რომლითაც ისინი ხმოსნობას თავს ანებებს. ყარა-მურზამ, როგორც ვწერდით, ქალაქის გამგეობაში ფასიანი ალაგი იშოვა. წასულ ხმოსნების ადგილს დაიჭერენ უფროსის კანდიდატები: ყარა-მურზასა—ნ. ნ. ოსტროგორსკი, ხოლო კიზირიასა—შ. ვ. ალექსი—მესხიშვილი.

პ. პ. არქიპოვმა, მიწათ-მოქმედების სამინისტროს მთავარმა რწმუნებულმა, სამსახურს თავი დაანება.

სხვა და სხვა ბოროტ-მოქმედება—1912 წლის პირველ იანვრიდან, პირველ მაისამდე მომხდარა:—ქურდობა—29, მკვლელობა—7, დაჭრა—13 და გაძარცვა—10. სულ შეუპყრიათ—59 კაცი.

სრულიად სომეხთა ქათალიკოსი ტფილისში ხუთშაბათს, 21 ივნისს, ჩამოვა.

ტფილისის მაზრაში, მთელ წელიწადში, 1911 წ. პირველ იანვრიდან—1912 წ. პირველ იანვრამდის—**ცეცხლის მოკიდება** და სხვა და სხვა საქონლის დაწვა მომხდარა: ზამთრის თვეებში—10-ჯერ, ზარალი—3730 მანეთია; გაზაფხულის თვეებში—13, ზარალი—28,109 მან.; ზაფხულის თვეებში—9, ზარალი—2860 მ.; შემოდგომის თვეებში—8, ზარალი—3025 მ.; სულ 40 მაგალითი ყოფილა, ზარალი სულ: 37,724 მანეთამდეა.—ცეცხლის გაჩენა შემდეგი მიზეზებით ყოფილა გამოწვეული: ცუდად მოწყობილ ფეჩების გამო—3; გაუფრთხილობლისაგან—9; ძალად მოკიდებისაგან—15 და სხვა და სხვა მიზეზების გამო—13, რომლის გამოკვლევა ვერ მომხდარა.

„ზელიმხანი“ ტფილისში. 17 ივნისს, ნაშუადღევს, ელიაროვის ქუჩაზე ეტლში № 547 ორი უცნობი ჩაჯდა და მეეტლეს ხასიან შახმაედოვს უბრძანეს, ჩოფურაშვილის დუქანში წაგვიყვანეო (ტფ. მაზრაშია). მეეტლემ ბრძანება შეასრულა. უცნობებმა დუქანში თითო ჭიქა არაყი და ოთხი ბოთლი ღვინო დალიეს და შემდეგ მეეტლეს, უბრძანეს კრწანისში წაგვიყვანე, იქ ბაღები გვაქვსო. კრწანისის ბაღებს რომ გასცდნენ, უცნობებმა მეეტლეს მუქარა დაუწყეს, ხევში გადაგაგდებთო. ერთმა მათგანმა თან დასძინა: „თუ ცოლს არ გამოთხოვებიხარ, ჩქარა გამოეთხოვე. შენ იცნობ ზელიმხანსა“-ო? მეეტლეს შეეშინდა, გადმოხტა ეტლიდან და ფეხით ვორონცოვის ქუჩაზე მოახწია, სადაც ეს ამბავი საპოლიციო უბნისს ზედამხედველს გადასცა. პოლიციელნი დაუყოვნებლივ დაფაცურდნენ და ეტლით უცნობებს დაედევნენ. ეტლი იპოვეს ქალაქიდან სამის ვერსის მანძილზე. იქვე უცნობებს ეძინათ. უცნობნი შეიპყრეს. ისინი აღმოჩნდნენ: ხარკოვის გუბერნიის მცხოვრები სტეფანე გაბრიელის ძე შენდრიკოვი და ტფ. მაზრის სოფელ აღბულახის მცხოვრები თეოდორე გრიგორის ძე ბოიკო. „ზელიმხანი“ და მის ამხანაგი ტფილისში წამოიყვანეს და სამართალში აძლევენ.

თავი მოიკლა საწამლავით 15 ივნისს მარიამ სტეფანეს ასულმა დავიდოვისამ, რომლის გვამი მიხეილის საავადმყოფოში გაჰგზავნეს.

უეცრივ გარდაიცვალნენ 17 ივნისს: თამარა მიხეილის ასული ვაშაკიძე, 9 წლისა და მარიამ ანტონის ასული დომბროვსკისა, 80 წლისა.

თავის მოკვლის განზრახვით 18 ივნისს, თავი მოიწამლა ნიშადურის სპირტით გორის მცხოვრებმა ანტონინა დიმიტრის ასულმა დოლგოვმა, რომელისაც სამკურნალო დახმარება მიხეილის საავადმყოფოში აღმოუჩინეს. თავის მოკვლის განზრახვის მიზეზი—ნივთიერი უსახსრობაა.

თქვენმეტ ივნისს ჩოქეზიშვილის ქუჩაზე იპოვეს ჩვრებში შეხვეული ბავშვი, მამრობითის სქესისა, დაახლოებით არის ათის დღისა ბავშვი ოლგას საბებიო ინსტიტუში გაჰგზავნეს

ტფილისში შეიპყრეს: თექვსმეტ ივნისს—ასოცი უპასპორტო, ხოლო ჩვიდმეტ ივნისს 62.

საზოგადოებანი და კრებები.

ტფ. ქართულ საფილარმონიო საზოგადოების გამგეობის უკანასკნელი კრება მოხდა შაფათს, 16 ივნისს. კრებაზე გადაწყვეტილ იქმნა საბოლოოდ, რომ მომავალ სამოსწავლო წლიდან საზოგადოების სამუსიკო სკოლის სადგომი გადაიტანონ ყორღანოვის ქუჩაზე, სადაც ამ მიზნისთვი გამგეობას უკვე დაუქირავებია შესაფერი სახლი. ამავე კრებაზე გადაწყვეტილ იქმნა, მომავალ სამოსწავლო წლიდან სამუსიკო სკოლის მასწავლებლად მოიწვიონ ს-პეტერბურგის კონსერვატორიაში ახლად კურს-დამთავრებული როიალის დამკვრელი ელენე ქიქოძის ქალი,

ტფ. რუსთა საურთიერთო კრედიტის საზოგადოების დამფუძნებელთა კრება 17 ივნისს მოხდა. კრებამ დაადგინა, გახსნას ბანკი მიმდინარე წლის ნოემბერში. ბანკის შენობის მოსაძებნად კრებამ ცალკე კომისია აირჩია. შენობა უნდა დაიქირაონ იმ რაიონში, სადაც სხვა საკრედიტო დაწესებულებანია.

სასწავლებლებში

ტფ. პირველი საკომერციო სასწავლებელი წელს 56 კაცმა გაათავა. ამათში ორმა ქართველმა ი. სიხარულიძემა და მ. ხანანაშვილმა ოქროს მედალით გაათავა.

სასამართლო.

ტფ. ოლქის სასამართლოს თავმჯდომარე ნ. ა. ტოლპიგო და ბრალმდებელი ა. ა. გრომოვი სამსახურის საქმეთა გამო ზაქათალას გაემგზავრნენ.

რკინის გზის უფროსის მოადგილე ინჟენერი ნ. ს. ზურაბოვი ბათომისკენ გაემგზავრა რკინის გზის ლიანდაგის დასათვალიერებლად.

სასიკვდილო განაჩენები. 14, 15 და 16 ივნისს კავკასიის ოლქის სამხედრო სასამართლომ 15 კაცის საქმე გაარჩია. მათ ბრალდებოდათ ყაჩაღთა იმ ბრბოში მონაწილეობა, რომელიც 1911 წელს თელავის მაზრაში დანავარდობდა. განაჩენი ასეთია: მიხეილ ბურნაძე, 21 წლისა, ლ. ესიტაშვილი, 33 წლისა, კერვალიძე, 21 წლისა და ლევან ლოპაური, 17 წლისა სასამართლომ დამნაშავედ იცნო ყაჩაღთა იმ ბრბოს მონაწილეობაში მიღება, რომელმაც მოჰლა კარახანოვი და ფეიქრიშვილი და დასჭრა ჭინჭარაშვილი და ფედოტოვისა და ოთხსავე ჩამოხრჩობა გადაუწყვიტა.

დ. ვარაზაშვილი, გეორქ მოსესოვი, დ. იმერლიშვილი, ი. მინდოგაშვილი, სანდრო ზაალიშვილი და ი. მამისთვალოვი სასამართლომ დამნაშავედ იცნო ყაჩაღთა დაფარავში და თვითეულს 15 წლის კატორგა მიუსაჯა. ვ. ზეკალაშვილს სასამართლომ 4 წლის ციხე გადაუწყვიტა, ხოლო ა. სიკაშვილი, ს. გოგაშვილი და პ. ებაშვილი უდანაშაულოდ იცნო და გაამართლა:

სომეხთა ცხოვრება

კავკასიის სომხურ სკოლების მასწავლებელთა უკანასკნელმა კრებამ ცენტრალურ გამგეობის წევრად აირჩია: ს. აბოვიანი, ი. არუთუნიანი, ს. ავეტიანი, გ. და ა. ყაზაროვები, ა. ვართანიანი და ა. აგაბაბი.

გორის საურთიერთო ნდობის განკის წევრთა წლიური კრება.

(დასასრული *)

ნ. სოლოლაშვილი. არა, არა, დაგვრიგეთ ფული, ერთი სიფთა მაინცა ვნახოთ (სიცილი).

ზ. ქიტიაშვილი. ეს ფული რომ ფონდისთვის გადავდოთ, თქვენ არაფერი დაგეკარგებათ. ორიოდ გროშში ვერაფერს შეგმატებთ. შემდეგ ამ ფონდს მივუმატოთ სხვა თანხა და კარგი შენობა ავაგოთ საკუთარი. მაშინ ძირს დაგვრჩება ის 60 თუმანი, რომელსაც ეხლა ბინის ქირად ვიხდით. (ხმები-ფული, ფული... სად შეგვიძლიან ყოველ წელიწადს აქეთიქით ვარიგოთ). ხმაურობა. თავმჯდომარე ზარსა რეკს).

დ. მაჭავარიანი. ხელში დასარიგებლად გადადებულია სულ რაღაც 66 თუმანი კაპეიკებით. ვისაც ასი თუმნის კრედიტი აქვს გახსნილი იმას ერგება ათიოდ მანეთი (ხმები-ვისაც 200 თ. აქვს?“) ნება მომეცით დავათავო სიტყვა. რა ფულია იმისთვის 5-10 მანეთი? სახლის ასაგებად რომ ფული შევაგროვოთ, დარწმუნებული ვარ თქვენ მეტს გამოიღებთ, ეხლა კი 5 მანეთები გენანებათ. საკუთარი შენობა რომ გვექნება, მაშინ 60 თუმანი, ეხლა რომ ბანკის სადგომის ქირად ვაძლევთ, ძირს დაგვრჩება და მერმისს მეტი პროცენტები გვერგება. თუ ვაჭრები ხართ, კომერსანტები უნდა დღეევანდელ კაპეიკს ხვალინდელი ორი შაური გირჩევნოდეთ. ასეთია კომერცია. გთხოვთ ეს 60 თუმ. გადავდოთ საკუთარ შენობის ასაგებ ფონდის გაძლიერებლად, ან იქნებ თქვენ უფრო სხვა რომ სიმპატიური საქმე გამონახოთ!..

ეგნატაშვილი. თუ შეწირვაა მეთვითონ ჩემი ხელით მინდა შევწირო. მოგვეციოთ ფული.

ნ. თუმანიშვილი. ამ ფულს დიდი სარგებლობის მოტანა შეუძლიან. მე თვითონ დავდივარ ბანკებში, ვთხოულობ კრედიტს ჩვენი ბანკისთვის. ვუფიცავ-ფული არა გვაქვს, მაგრამ ისე გვიყვარს ჩვენი საქმე, რომ რაც გვერგება მოგებას იქვე ვტოვებთ მეთქი. მოგეხსენებათ ცარიელი სიტყვით არაფერი გამოვა, საჭიროა საქმე და თუ ეხლა დავირიგებთ ორიოდ გროშსა, ჩვენს სიტყვას ვიღა ენდობა. (ხმები-გადავდოთ ფონდისთვის, გადავდოთ!) გადასწყდა 661 მან. 41 კ. გადაიდოს ბანკისათვის საკუთარ შენობის ასაგებ ფონდის გასაძლიერებლად.

კრება ხუთი წუთით სწყდება. კრების გახსნისას თავჯდომარე აცხადებს, რომ ამოსარჩევია საბჭოს სამი წევრი ნაცვლად ა. შეპფის და ა. შიხინოვის, რომელთაც ვადა გაუთავდათ, და მ. ზაალიშვილის, რომელიც ვადამდე თავის ნებით გავიდა და სთხოვს კრებას დაასახელოს კანდიდატები.

დ. მაჭავარიანი. ვიდრე თქვენ თქვენს კანდიდატებს დაასახელებდეთ, საბჭომ გარდასწყვიტა თავის მხრივ წამოაყენოს კანდიდატებად ისევ შეპფი, ა. შიხინოვი და ზ. ქიტიაშვილი. (ხმები-სასურველია, სასურველი!..) კრებიდან ასახელებენ კანდიდატებად შეპფს, ნ. სოლოლაშვილს, გ. ამირეჯიბს და ზ. ქიტიაშვილს.

დ. მაჭავარ. ბანკის დაარსებიდანვე საბჭოს წევრებად იყვნენ შიხინოვი და შეპფი. ვთხოვოთ მათ დარჩენ კვლავ გამგეობაში. („ვთხოვთ, ვთხოვთ“, ისმის ერთხმად).

დავმჯდომ. საბჭოს წევრებად ერთხმად ამორჩეულ იქმნენ შეპფი, ა. შიხინოვი და გ. ამირეჯიბი. (ხმა—„ნ. სოლოლაშვილი?“ მეორე ხმა: „სოლოლაშვილი გაშავდა“. საერთო სიცილი).

დავმჯდომ. ამოსარჩევია სარევ. კომისიის სამი წევრი და მათი სამი კანდიდატი. სარევ. კომ. წევრებად იყვნენ ზ. ქიტიაშვილი, ი. როსტევანოვი და ჯახიევი. მათ კანდიდატებად იარალოვი, კეჩხუაშვილი და ხარატაშვილი. დაასახელეთ თქვენი კანდიდატები....

კანდიდატებად ასახელებენ მურალოვს, ი, როსტევანოვს, ბახუტაშვილს, ავშაროვს, ი. ცინცაძეს და ანდრონიკაშვილს.

დ. მაჭავარ. სარევ. კომისიის წევრები სინიდისიერად ასრულებდნენ თავიანთ მოვალეობას. ამიტომ წინადადება შემომაქვს ვთხოვოთ ქიტიაშვილს დარჩეს კვლავ სარევიზიო კომისიაში.

ზ. ქიტიაშვილი. ჩემი უარი უბრალო დაჟინება არ არის. სარევ. კომისიაში მე, როგორც კომისიის თავმჯდომარემ, დიდი გასაჭირი გამოვიარე, რადგან გამოუცდელი ვიყავი. გთხოვთ მაგ თანამდებობიდან გამანთავისუფლოთ (ხმები—ეხლა ხომ გამოიცადეთ, გთხოვთ, გთხოვთ!..)

ქიტიაშვილი მაინც უარს აცხადებს.

სარევ. კომისიის წევრებად არჩეულ იქმნენ ბახუტაშვილი, ი. ცინცაძე და სოლოლაშვილი. მათ კანდიდატებად როსტევანოვი, ი. ჩარუევი და ანდრონიკაშვილი. ბანკის გამგეობის წევრებად და პირველ დირექტორად კვლავ აირჩიეს ერთხმად გ. კაპანაძე.

საზოგადოების საბჭოს, სარევიზიო კომისიის და მიმდებ კომიტეტის ჯილდოს შესახებ გადასწყვიტეს—საბჭოს წევრებს ხუთ-ხუთი მანეთი თვითეულ სხდომაში, თავმჯდომარეს—10 მან. სარევ. კომისიის წევრთ ოცდა ხუთ-ხუთი მანეთი, ხოლო მიმდებ კომიტეტის წევრთ ორ-ორი მანეთი თვითეულ სხდომაშივე.

ნ. თვალიაშვილი მოითხოვს სარევიზიო კომისიის წევრთ მიეცეს ჯილდოდ მეტი, რადგან ჯაფა დიდი აქვთო.

დაადგინეს ეძლიოს კვლავ 25 მან.

თავმჯდომარე დამსწრეთ მადლობას უცხადებს და კრებას ხურავს სამის ნახევარზე.

ხალხი დარბაზიდან გამოდის. ამ დროს სკამზე შეხტება ვ. როსტევანოვი და გაჭარხლებული, გაცოფებული, რაც ძალი და ღონე აქვს ყვირის-დანამდვილებით დაგვინიშნეთ მაინც როდის ექმნება მიმდებ კომიტეტს სხდომები, რომ აქ ტანტალი მუდამ არ მოგვიხდეს ხოლმე. მაგრამ მას ყურადღებას აღარავინ აქცევს და ისიც ყურებჩამოყრილი გადმოსკუპდება სკამიდან.

სან-განი-ძე.

წერილი ქიზიყიდან.

კვირას, 10 ივნისს, ჩვენი სასიქადულო მამულიშვილის და მცხოვან პედაგოგის **გოგებაშვილის** სულის მოსახსენებლად, მის ცხედრის დაკრძალვის დღეს ქვემო-მაჩხაანის წმ. სამების ეკლესიაში ქვემო-მაჩხაანელთ და ჯუგაანის ჯვარის გამოჩენების ეკლესიაში ჯუგაანელთ, პანაშვიდი გადავიხადეთ. იაკობ გოგებაშვილის სახელობის ფონდის დაარსება ერთ უუმნიშნელოვანეს საქმედ მიმაჩნია ქართველთა ეროვნულ თვით შემეცნებისათვის, ამიტომ სოფლის ყოველი შეგნებული პირი, მღვდელია იგი, მასწავლებელი, თუ სხვა მოვალეა, შეძლებისა დაგვარად, ამ ფონდის სასარგებლოდ გაიღოს თავისი წვლილი, რომელიც ჩვენის მოზარდ თაობის ეროვნულ აღზრდა-განვითარებას მოხმარდება. ჩემის მხრივ ხუთ მანეთს მოკლე ხანში გამოუგზავნი რედაქციას ამ მიზნისათვის.

ქერისა და პურის მოსავალს, როგორც წინედაც ვწერდი, შედარებით მშვენიერი მოსულობა ჰქონდა, ნაწილიც თავთავმა საკმაოდ ჩაიდვა, დაისრულა, სინოტივისა გამო; მაგრამ მინდვრად თაგვი გაჩნდა და ლამის არის გაანახევროს ჭირნახული. ზოგ ალაგას მთლად მოსპო—გაანადგურა. „წელს მინდვრის თაგვი მანახევრედ გაგვიჩნდაო“. სადაც კი თაგვი არ მოჰხვედრია, იმ დღეების პატრონები სამყოფ სულადს ჩაიკიან ათას გვარ ხარჯ გადასახადები, გასასტუმრებლად და მტერ-მოყვარეთა პასუხის მისაცემად...

წელს **ვენახებს,** რაც კი ბაზაფხულის სასტიკ სიცივე-თოვლებს გადურჩა დაუზიანებელი, საკმაოდ კარგად ასხია, მტევანი უკვე დახარბლდა, არ უჩანს ნაცარ-მილდიუ, არა თუ ნაწამლს, წარმოიდგინეთ უწამლსაც კი. სხვა დროს რომ ამ ბანებში უწამლ ვენახებში მთლად გაცვივნილი ჰქონია მარცვალი და ყაროკილი, წელს მშვენიერი, კუმში მტევნები ჰკიდია—შეიძლება ვიმეზისა გამო შემდეგ გაუჩნდეს ვოთოლს მაინც მილდიუ, მაგრამ მტევანს კი ვეღარას დაიკლებს, თუ ცოდმ რაიმე უბედურება არა აუტყდა-რა. ზოგიერთ ადგილას ვენახებს მსუბუქად სეტყვამ გადაჰკრა. ამბოყენ შირაქშიაც იყო სეტყვაო.

წლევანდლისთანა ნოტიო წელიწადი სწორედ მისწრება **თამბაქოს** მოსავლისათვის. გადარეული შემდეგ წვიმა არ დაჰკლებია და საკმაოდაც გაიზარდა. წელსაც ეუ თამბაქოს მაზანდა ისეთი მცირე ექნება, როგორც შარშანდელ მოსავალსა ჰქონდა, მშრომელთა ჯაფა და შრომა სანახევროდაც არ დაჯილდოვდება. წარმოიდგინეთ შარშანდელ თამბაქოს მოსავლის მეტი წილი გასასყიდი აწყვია ადგილობრივ და ტფილისის საწყობებში—რაც გაიყიდა ისიც ჩალის ფასად. ფუთი ორ-სამ მანეთად, რაიცა დახარჯულ ფულის მეოთხედსაც ვერ ააყენებს.

წელს **აბრეშუმის ჭიის** მოსავალიც ვერ არის ჯეროვანი. ახლად გამოსულ ჭიას სიცივემ უსწრო, უმრავლესობას აი შეეძლო რაციონალურად დაეყენებინა საქმე, სითბო ერთ დონეზე შეერჩინა, ხელი შეეწყო, ამიტომ გამოსულმა ჭიამ იზარალა. ამას გარდა უმრავლესობის აბრეშუმის ჭიამ პარკის გაკეთების, ცახზე ასვლის დროს იზარალა, გაყვითლდა, დაიხოცა. ამის მიზეზი კი ჩვენის აზრით უვარგისი თესლის დარიგებაა. საჭიროა საღი თესლის დარიგების საქმე ჩვენშიაც მოეწყოს, ზოკებს აეკრძალოთ შეუმოწმებელ აბრეშუმის თესლის გაყიდვა, ნაწილზე დარიგება, რათა საწყალი ხალხის ოფლმა ტყუილა-უბრალოდ არ ჩაიაროს და შესაფერისად დაჯილდოვდეს მშრომელის ჯაფა-გარჯილობა...

X.

მღ. ივანე გვარამაძე „ვინმე მესხი“

(დასასრული *)

მამა ივანეს ჰიგიენა თავის სიცოცხლეში.

მღ. ივანე მეტად ჯანმრთელი ადამიანი იყო, მიუხედავად იმისა, რომ მთელი 35 წელიწადი, ქარებით იტანჯებოდა. უკანასკნელ წლამდის მის საღს გულს არა ვითარი დამაბრკოლებელი მანკი არ მიჰკარებია 80 წლის განმავლობაში.

1. ღამე დედიშობილა წვებოდა ხოლმე ქვეშაგებში დასაძინებლად ზამთარ ზაფხულს.
2. უყვარდა მდინარეში ბანაობა.
3. დილით ადრე ადგომა.
4. რა გინდ ყინვა და ქარბუქი ყოფილიყო სულ თავდია მიდიოდა სახლიდან მახლობელ ეკკლესიაში.
5. არ სწევდა პაპიროზს, არა სვამდა მაგარ სასმელებს, არა სჭამდა მჟავეს. უყვარდა და ეტანებოდა ტკბილ საჭმელ-სასმელსა და ხილეულობას.
6. ნასადილევს და ნაგახშმევს ნახევარ საათს სიარულში ინელებდა ნაჭამ-ნასვამს.
7. ჭამა-სმა სუბუქი იცოდა.
8. უდრო-უდროოდ პირში არას ჩაიდებდა საჭმელ სასმელს, არც ხილს თუ არ თავ-თავის დროზე ე. ი. დილას ჩაისა, შუადღის თორმეტს საათზე სადილსა და საღამოს ჩაისა და ვახშამზე.
9. არ უყვარდა წარა-მარა სიარული ქუჩებსა, ქალებსა და წვეულებებში. იგი თუ სადარბაზოდ წავიდოდა ვინმესთან და ზოგჯერ მახლობლებთან სადილად შეიცდიდა, თორემ სულერთავად თავის საწერ კაბინეთში მუშაობდა, სწერდა და კითხულობდა დილიდან საღამომდისინ. ასეთი წყობილი თავისი ჰიგიენით ხელ შეწყობილი ჰქონდა და ჯანმრთელი იყო. არ აკლდა თვალს, არც კბილი. სწერდა და კითხულობდა ფათვალოდ და სჭამდა ყოველივე ჯვენელს თავისი მჭრელი და თეთრ ბილების იმედითა. როგორც ექიმები ამბობდნენ გულის სიმაგრისა გამო დიდხანს იცოცხლებდა კიდევ იგი, მარა ბოლო წლებში სულ სხვა შემთხვევებმა და გარემოებამ გაუფუჭა გული. ოთხი წლის წინედ მოხუცებულობისა გამო სამსახურიდან დაითხოვეს და ჩამოართვეს ერი, რამაც ცუდად იმოქმედა ავადმყოფ მოხუცზე. ჯვარისაგან ქარები აეშალა და დიდად იტანჯებოდა ხოლმე. შარშან პატრ მიხეილ თამარაშვილის დახრჩობა რომ გაიგო იმან სრულიად ცუდად იმოქმედა. მას შემდეგ სულ ცხარე ცრემლით სტიროდა ხოლმე იმისა გამო, რომ ქართველ კათოლიკეთა სომხების ტიბიკონის ჩამოშორება უთამარაშვილოდ გაძნელდებოდა, რომელიც რომში პაპთან დიდ დახმარებას ეწეოდა ამ საქმეში. აი სწორედ მას შემდეგ დაეკოდა გული და მომავალი ხანგრძლივი თავისი სიცოცხლე მიეშრიტა.

მამა ივანეს „ვინმე მესხის“ ნაშრომი:

დაბეჭდილები: 1. „ქართლის ცხოვრება“, 2. „ლექსიკონი ფრანგულიდან ქართულად“, 3. „ძველი ღმერთი“, „კვალიდან“ გადმობეჭდილი, 4. „წმ. ესტატეს ცხოვრება“ დაბეჭდილი კონსტანტინეპოლს 1878 წ. 5. „საქრისტიანო მოძღვრება“, 6. საქრისტიანო მოძღვრება მეორედ დაბეჭდილი კონსტ. 1880 წელს. 7. „ფილოსოფია სამღრთო“, კონსტ. დაბეჭდ. თარგ. სომხურიდან, 8. „რეტორიკა“ სომხ. თარგ., 9. „გრიგოლ პაპის მოძღვრებანი“, 10. „დარიგება და წურთნა“ საუკუნო ცხოვრებისა, რეტორიკებრივი, 11. „მიხელ გობრონის ცხოვრება“, ისტორ. პოემა, ტფილისში დაბეჭდილი 1896 წ., 12. „წმიდა ნინო“, 13. „ყვავილის კონა“, ანუ რჩეული ლექსები, დაბეჭდილი კონსტანტინეპ. 1877 წ., 14. „ადამ და ჰევა“, ზნეობრ. სწავლა დაბეჭდ. ტფილისში 1904 წ., 15. მშობლების დარიგება და შვილის აღზრდა. დაბეჭდ. ტფილისში 1896 წ., 16. „წმიდა ალფონსი ლიგურელის ვიზიტნი, თბილისში დაბეჭდ. 1905 წ., 17. საზოგადო გეოგრაფია, სადაც საქართველოც არის ვრცლად აწერილი. დაბეჭდ. კონსტ. 1881 წ., 18. მშაკის მზა პასუხი, დაბეჭდ. კონსტანტინეპ. 1880 წ., 19. წალკოტი - ლოცვანა, 20. თან სატარებელი ლოცვანი, 21. სხვა და სხვა ისტორიული წერილები ... და ... შესახებ. გაზ. „დროებაში“ და „ივერიაში“ დაბეჭდილი, 22. ახალციხეზე ფელეტონები, დასტამბული 1877—1888 წლამდე, გაზ. „დროებაში“, 23. საპოლემიკო წერილები, დასტამბული „დროებასა“ და „ივერიაში“, 24. „სამეურნეო მუშაობა“ ძველ საქართველოში და სხვა წერილები, დასტამბულია „ცნობის ფურცელში“, 25. „ისტორიული წყაროები“ სამესხეთოს სოფლების შესახებ, დაბეჭდილია „კრებულში“, 26. „არქეოლოგიური მოგზაურობა“ სამესხეთოში, დაბეჭდილია „მწყემსში“, 27. „წინამძღვარი ზეცისა“, თარგ. 1880 წ. კონსტ.-პოლში დაბეჭდილი, 28. „გზა ცხოვრებისა“, ანუ ქადაგებანი გერმან. მქადაგებლის ალფონს ლუგორისა. დაბეჭდ. კონსტ. პოლ. 1879 წ. თარგ., 29. „სიბრძნე კაცობრივი ფილოსოფიური დარიგება. დაბეჭდ. კონსტ. პოლში 1879 წ., 30. ქართული გრამატიკა“. დაბეჭდ. კონსტ. პოლში.

დაუბეჭდავი ხელ-ნაწერი რვეულები:

1. წყარონი საეკკლესიო და სასოფლო ცხოვთებისა. დაწერილი 1866 წ.
2. ძველის - ძველი ისტორიული ცნობები მესხ-ქართველთა ლიგვინსტიურად დაწერილი 1867 წ.
3. ჯვარის გზა. დაწერილი 1880 წ.
4. „ყრმათა სანავარღო“ ქვეყნის ცხოველნი, ლექსად დაწერილი 1889 წელს. (95 გვერდია).
5. „ვინმე მესხი“ (თვისი) ცხოვრება (240 გვ.) დაწერილი 1891 წ.
6. საისტორიო მისონალური დღიური წერილები. (105 გვ.) დაწერილი 1892 წ.
7. საეკკლესიო ისტორიული წყაროები. (220 გვ.) დაწ. 1900 წ.
8. სამოციქულო წერილი თარგ. 1895 წ.
9. გარკვევა მოთხრობათა სამღთოწერილისა. ძველი აღთქმა. კესარიოს კალინოსის იოსეს რიგოსნისამებრ გარდმოცემული 1896 წელს, (699 გვ.)
10. სახელმძღვანელო სამესხეთოს ერთა მამად საასენებელ-საგონებელი, ავ-კარგის გასარჩევად, 1898 წ. (152 გვ.)
11. ცხოვრება ღვთის-დედის-ქალწულის მარიამისა, თარგ. 1902 წ. (356 გვ.)
12. ეპისტოლე ყ-დ. უფლისა, ლეონ იგ—ისა, ღვთიულის წინა განგებულებათა მღვდელთათვის.
13. სამოციქულო წერილი. თარგ. 1895 წ.
14. ყ-დ. წმინდა ღვთის-მშობლის უმანკო ჩასახებაზე, თარგ. 1904 წ.
15. სამოციქულო ეპისტოლე, ნაწ. I-ლი, დაწ. 1908 წ.
16. სამესხეთო ძველი სიტყვიერება.
17. გენეალოგია ჩვენი გვარტომობის თავ-გადასავალი.
18. ცხოვრება ღვთის-მშობლის მარიამისა (სახლობაში, სახმარი) დაწ. 1908 წ. (118 გვ.)
19. დამარღვეველნი, ლიუტერისა და კალვინის მწვალებლობისა და ძრიელი სწავლა მართლ-მადიდებლობისა, უ. ტალაფორისა, თარგ. 1894 წ. (158 გვ.)
20. „წყალრღვნა“—პოემა, დაბადების ცხოვრებიდან გამოკრებილი თექვსმეტ - მარცვლოვან ლექსად. „ვეფხის ტყაოსან“-ზე ფართო გამოვიდოდა ხელნაწერი (რომელიღაც ჩვენ მწერალთან დარჩა).
21. ახალი ღმერთი.
22. ჯვარის გზა.
23. ლუკას ღვთის-მშობლის მოთხრობა.
24. „ვარდის კონა“. კავკასიის ვიზიტატორის სადღესასწაულოდ.
25. წვრილი ლექსები მრავლად აქვს დაწერილი.

ბევრი დაუბეჭდავი რვეულებიც ექნება, ძველ ქაღალდებში არეული, საჭიროა გადაირჩეს აღმოსაჩენად.

ჯანსაღ ენებული ივანე გვარამაძე ითვლებოდა 1880—82 წლებში მოსკოვის არხეოლოგიურ საზოგადოების წევრად, ხოლო 4—5 წელიწადი ტფილისის ისტორია-ეთნოგრაფიულ საზოგადოების წევრად ირიცხებოდა.

განსვენებულმა თავის სიღარიბეში საკმაო წიგნებიდან შეიდგინა ქართული და სხვა ენების ბიბლიოთეკა. ჰქონდა შინაური მუზეუმი, ძველი არქეოლოგიური ნივთების კოლექციიდან და მინერალოგიურ კოლექციიდან შედგენილი.

მ.

*) იხ. „სახ. გაზ“. № 627.

*) იხ. „სახ. გაზ“. № 627.

ჩემი პასუხი

(ბ-ნი იოსებ გედევანიშვილს *)

ბ-ნო იოსებ! მე დიდად მადლობელი ვარ თქვენი შეკითხვისათვის. ამითი მომეცა საშუალება საჯაროდ პასუხი გავცე ყველა იმ ჭორებზედ, და იმ მითქმა-მოთქმაზე, რომელნიც გამოიწვია ჩემმა თ-დ ბაგრატიონთან მისვლამ.

ეს ფაქტი ბევრმა თავისებურად გამოიყენა და ახსნა.

რადგანაც თქვენ შეკითხვას პრინციპიალური ხასიათი აქვს, მე დამშირდება ძალიან მოკლედ გამოვსთქვა ჩემი აზრი თავად-აზნაურობაზე და იმ მოვლენაზე, რომელსაც თვალყურს ვადევნებდი უკანასკნელ კრებების და არჩევნების დროს. არ შემიძლიან არ შევეხო აგრედვე იმ აუტანელ პირობებს, რომელნიც ამ უკანასკნელ წლების განმავლობაში ბედისწერასავით თანასდევდნენ ყოველივე საზოგადო საქმეს, რომელსაც კავშირი ჰქონდა თავად აზნაურობასთან.

თქვენი წერილიდანა სჩანს, რომ ჩემ საზოგადოებრივ შეხედულებას და მსოფლიო ხედველობას იცნობთ. აქედან ნათელია, რომ მე პრინციპიალურად თავად-აზნაურობასთან ვერავითარ კავშირს ვერ ვიქონიებ. თავად-აზნაურული იდეოლოგია და იმისთვის ხელმძღვანელობის მინიჭება ჩვენს ეროვნულ ცხოვრებაში, ეწინააღმდეგება თანამედროვე მომენტის მოთხოვნილებას. მაგრამ არ უნდა დავივიწყოთ, რომ თავად-აზნაურობა, როგორც ფაქტი არსებობს და ჩვენს ეროვნულ ცხოვრებაში თვალსაჩინო ადგილი უჭირავს. იმის ხელთ არის ისეთი ძლიერი იარაღი, როგორც 300,000 და ხშირად უფრო მეტი წლიური ბიუჯეტი. ეს ფული ასულდგმულებს თითქმის ყველა ჩვენ კულტურულ დაწესებულებას. ამიტომ საზოგადო მოღვაწე გვერდს ვერ აუქცევს თავად-აზნაურობას და ასე თუ ისე ანგარიში უნდა გაუწიოს იმას. ეს კი გამოიხატება იმაში, რომ ბიუჯეტის განაწილების დროს, რამდენათაც კი შესაძლებელია, ფული განაწილდეს ისე, როგორც უფრო სასარგებლოა ეროვნულ დაწესებულებათთვის. ამიტომ, რაც უფრო ძალიან ფეხს მოიკიდებს თავად-აზნაურობაში დემოკრატიული ელემენტი წოდებისა, მით უფრო ადვილად მივაღწევთ ჩვენს მიზანს. რასაკვირველია არ უნდა დავივიწყოთ, რომ თავად-აზნაურობა და იმას იდეური და ფაქტური წინამძღოლნი თავის თავს ვერ უღალატებენ. იმათი პოლიტიკა ყოველთვის მაინც თავად-აზნაურული იქნება. ეს ბუნებრივია.

დასკვნა შემდეგია. ყოველი ჩვენგანი, ვისაც უნდა ანგარიში გაუწიოს თავად-აზნაურობას თავისი მიზნის მისაღწევად უნდმ ცდილობდეს განამტკიცოს დემოკრატიული ელემენტი და რაც შეიძლება შეასუსტოს წმინდა წოდებრივი ლტვილება.

აი საზომი, რომელითაც მე ვიხელმძღვანელებ შემდეგში ამა თუ იმ ჯგუფის მოქმედების დასაფასებლად.

ამასთანავე, თუ თავად-აზნაურობამ დაიწყო საქმე რომელსაც მარტო წოდებრივი ხასიათი კი არა აქვს, არამედ მნიშვნელოვანია მთელი ერის კეთილდღეობისათვის, ჩვენ უნდა ვეცადოთ ეს საქმე არ დაღუპოს და ერს რაც შეიძლება მეტი სარგებლობა მოუტანოს. უკანასკნელ ორი-სამი წლის განმავლობაში ჩემი ყურადღება მიიქცია ერთმა ფრიად საგულისხმიერო მოვლენამ. ყოველივე საზოგადო საქმეს, რომელსაც კავშირი ჰქონდა თავად-აზნაურობასთან, თანა სდევდა ბრძოლა, რომელშიაც პრინციპების ნასახიც კი არა ყოფილა. ბრძოლა დამყარებული იყო ან პირად ანგარიშებზე ან შეურაცყოფილ თავმოყვარეობაზე. საზოგადოებრივ საქმეში ეს მოვლენა სხვაგანაცა გვხვდება, მაგრამ ჩვენში წმინდა ეპიდემიური ხასიათი მიიღო.

ერთი და იგივე მიმართულების ხალხი უცბად გადაეკიდებოდნენ ხოლმე ერთმანეთს პირადი ანგარიშების გამო და ასტყდებოდა კორიანტელი საზოგადოებრივობის სახელით. სხვა და სხვა ბანაკში პრინციპიილურად ერთსა და იმავე აზრს ატარებდნენ და კრიჭას უკრავდნენ ყოველივე პროგრესიულ მოთხოვნილებას. იმისთანა მაგალითებიც იყო, რომ ორი ძალიან მოწინააღმდეგე მსოფლმხედველობა ერთს გაზეთში მოთავსდებოდა ხოლმე და „დემოკრატი“—„ზუბრთან“ ერთად კალმით მუშაობდა. მაგრამ... შეილახებოდა ან ანგარიში, ან თავმოყვარეობა და დავიწყებული პრინციპები მაშინ ამოჰყოფდნენ თავს. საჭირონი იყვნენ განხეთქილებისათვის იდეიური ხასიათის მისაცემად დრომდინ...

ამ „პრინციპიალურმა“ ბრძოლამ იქამდინ მიაღწია, რომ კაცი გაზეთს ვერ მოჰკიდებდა ხელს. (მხედველობაში მაქს „პოზიციის“ „ოპოზიციის“ და „დემოკრატიული“ ორგანოები) ორივე მხარემ ლანძღვის ლექსიკონით ცნობილ მემარჯვენე დეპუტატს გადააჭარბეს და, რადგანაც პრინციპიალური განსხვავება ხშირად არა ჰქონდათ, წააპოტინეს ხელი ერთი მეორის კერძო ცხოვრებას.

გამოაშკარავდა ვის როგორი გემოვნება აქვს, ვის რამდენი საყვარელი ჰყავს, ვინ რამდენჯერ არის ნაცემი, ვინ რა მოიპარა და სხვა... (საგულისხმიერო ის არის, რომ ერთმანეთის ღირსებანი კარგა ხანია იცოდნენ, მაგრამ გაიმაშკარავებდნენ მხოლოდ მაშინ, როცა განხეთქილება დაიწყებოდა)

ერთის სიტყვით „პოზიცია“ ‌ „ოპოზიცია“, „ზუბრი“ და „დემოკრატი“ ექიშპებოდნენ ერთმანეთს სისაძაგლის გამოძებნაში და დიდ ხელოვნებასაც მიაღწიეს ამ საქმეში. ამ რიგად ყველაფერში გამეფებული იყო პირადი ანგარიში ან თავმოყვარეობა-სახელით კი „ჩვენი ბეჩავი ერის კეთილდღეობა“.

ამავე ხასიათის ბრძოლამ იჩინა თავი უკანასკნელ არჩევნებზედაც.

„პოზიცია“ და „ოპოზიცია“ გამგელებულნი იბრძოდნენ.

რისთვის? რა პრინციპების გარეშემო?

ცნობილია, რომ ბევრს არ მოსწონდათ ის გეგმა, რომლითაც ხელმძღვანელობდა თ-დი ბაგრატიონ-დავითაშვილი და მ. ვ. მაჩაბელი. ებრძოდა ამ მიმართულებას ოპოზიცია თუ არა? ჰქონდა გარკვეული პრინციპიალური პროგრამა? არა. ამას თვით „ოპოზიციის“ შედგენილობა გვიხატავს. ძალიან ბევრნი იყვნენ „ოპოზიციაში“ იმისთანანი, ვინც თვით მ. ვ. მაჩაბელზე უფრო ფეოდალები და რეაქციონერნი იყვნენ, იყვნენ ყოფილნი საქმით და კალმით თანამშრომელნი, იყვნენ „დემოკრატები“ დ. ზ. მელიქიშვილის პოლიტიკის მოტრფიალენი. ვინა გსურთ, რომ იქ არ იყვნენ, „ოპოზიცია“-ს აერთიანებდა პირადი უკმაყოფილება თ-დ ბაგრატიონისადმი და მ. ვ. მაჩაბლისადმი (სამართლიანობა მოითხოვს აღვნიშნო, რომ ორიოდე კაცი შეიძლება პრინციპიალურად მოქმედებდა. შემცდარია თ-დ ორბელიანის მეგუნდრუკე „იმ—ამ“-ის აზრი, რომ პირადობით გაჟღენთილი მხოლოდ ორიოდე იყო).

„ოპოზიცია“-ს ბრძოლა რომ გაეწია მიმართულებისათვის, პრინციპებისათვის—მაშინ მართალი იქნებოდა. ეს შეუძლებელი იყო, რადგანაც ძალიან დიდი ნაწილი „ოპოზიციისა“ თავიანთი მიმართულებით იგივე მ. ვ. მაჩაბლები იყვნენ, მხოლოდ ხშირად უფრო მავნებელნი და წვრილფეხნი. ეს ნათლად დამტკიცდა პრინციპიალური ხასიათის დადგენილებათა მიღების დროს. ყველაფერში მიიღეს იგივე თ-დ ბაგრატიონის წინადადება. ასეც უნდა ყოფილიყო. პრინციპები და „ოპოზიცია“ ძალიან მწყრალად იყვნენ ერთმანეთზე.

მაშ რაში იყო საქმე?

ებრძოდნენ პირადად თ-დ ბაგრატიონს და მ. ვ. მაჩაბელს და არა იმ პრინციპებს, რომელთაც ისინი ემსახურებოდნენ.

ებრძოდნენ ზოგნი ანგარიშ გაცრუებულნი, ზოგნი შეურაცყოფილნი.

ამიტომ თ-დ ბაგრატიონის და მ. ვ. მაჩაბლის დამარცხებას სრულიადაც არ მოჰყოლია იმათი იდეოლოგიის დამარცხება.

დარჩა იგივე პრინციპები, მხოლოდ შეიძლება მიემატა უარყოფითი მხარე. საუბედუროდ ერთ მაჩაბელის მაგივრად ბევრმა წვრილფეხა მაჩაბელმა გაიმარჯვა. აი სწორედ ეხლა გამწვავდება ის პირადული ბრძოლა, რომელიც აქამდინ იყო. რაც იყო ეს მხოლოდ შესავალია—მოქმედებას ეხლა დაინახავთ. დარჩა ყველაფერი ძველი და დაიწყება კორიანტელი...

ყველასათვის აშკარა უნდა იყვეს, რომ არც „გამარჯვებას“, არც „დამარცხებას“ ქართულ ეროვნულ ინტერესებისთვის არავითარი მნიშვნელობა არა აქვს. ეს არის მიზეზი, რომ „ოპოზიციის“ ზოგიერთ დემოკრატიულ წევრებს თავისი იდეიური სიფუჭე უნდათ ამოავსონ „გამარჯვების“ მნიშვნელობით ჩვენი ერისათვის.

მე არა ვარ და არც ვყოფილვარ „პოზიციის“ მომხრე და როგორც ზევით აღვნიშნე ვერც ვიქნებოდი. არ ვიყავი მომხრე „ოპოზიციისაც“. მე დიდიხანია მსურდა დამხობილიყვნენ მ. ვ. მაჩაბელი და თ-დი ბაგრატიონი იდეიურად.

„ოპოზიციას“ მხოლოდ იმათი პირადი დამხობა სურდა.

გამაკვირვა არა „ოპოზიციის“ მოქმედებამ, არა. ამისთანა „ოპოზიცია“ სხვანაირად ვერ იმოქმედებდა.

გამოცა „ოპოზიციის“ რამდენიმე წევრის საქციელმა, რომელთა შეხედულება არ უნდა შეჰგუებოდა პირად ბრძოლას და საქმისათვის უფრო ობიექტიურად უნდა შეეხედნათ.

იმის მაგივრად, რომ ყოველივე ღონისძიება ეხმარათ პირადი ბრძოლის მოსასპობად, იმათ მისცეს ახალი მასალა და ჯოჯოხეთს უკანასკნელი მუგუზალიც მიუმატეს.

აი მოკლედ ის მასალა, რომელიც საჭიროა იმ ბაასის გასაგებათ, რომელიც მე მქონდა თ-დ ბაგრატიონთან.

მე თ-დ ბაგრატიონთან ვიყავი. პირველად უნდა აღვნიშნო, რომ არავითარი „დეპუტაცია“ არა ყოფილა. ჩემთვინ და დანარჩენებისათვისაც არავის არაფერი არ მოუნდვიათ და არც არავის აურჩევივართ. რისთვის დასჭირდა „ზაკავკაზიე“-ს ეს „დეპუტაცია“ იმის დამწერის სინდისმა ზღო.

საქმე ასე იყო.

საადგილ-მამულო კომისიასთან არსებობს ჯგუფი, რომელშიაც ჩემი ამხანაგებიც შედიან. ვინ ურჩია ამათ მუშაობა, როგორა მუშაობენ ან რას აკეთებენ ჩემი ამხანაგები—ამაზედ ლაპარაკის ნებას გარემოება არ მაძლევს.

დეპუტატთა საკრებულოში შევიყარენით საქმეზე მოსალაპარაკებლად. ერთის ამხანაგის წინადადებით ზოგიერთა საკითხის გამოსარკვევად, რომელნიც ჩვენთვის საჭირო იყვნენ წმინდა ფაქტიურის მხრივ და ამასთანავე თ-დ ბაგრატიონის სანახავად მივედით იქვე იმასთან. დაგვხდა რამდენიმე სხვა პირიც. არავის ჩვენგანს, თუ მეხსიერება არა მღალატობს, თ-დ ბაგრატიონისათვის იმის მოღვაწეობის გამო მადლობა არ გამოუცხადებია. საიდან გამოჰყო თავი ამ მადლობამ—არ ვიცი.

ჩამოვარდა ლაპარაკი უკანასკნელ ამბებზე. პირადად მე გამოვსთქვი ჩემი აზრი: დიდი ხანია მინდოდა, რომ თ-დი ბაგრატიონი გამოეცვალათ, დაემარცხებინათ ის იდეიურად, მაგრამ საუბედუროდ „ოპოზიციის“ უპრინციპობამ გაამეფა იგივე პრინციპები, მხოლოდ ეხლა უფრო გამწვავდება ბრძოლა პირად ნიადაგზე. თუ ეს ბრძოლა აქამდის იყო, ეხლა უფრო ფრთას შეისხამს“. ამასთანავე შევნიშნე, რომ ბევრი „საზოგადო მოღვაწის“ ალაგმვა კარგა ხანია საჭირო იყო, მაგრამ ჩვენში ნათლიმამობა აფუჭებს საქმეს. საუბედუროდ „ოპოზიციის“ გამარჯვება ბევრს იმისთანას მოაქცევს საერთო საქმესთან, ვისიც „საზოგადო მოღვაწეობა“ ძალიან ძვირად დაუჯდება საზოგადოებას“. ვიყავით რამდენიმე ხანს, გვქონდა სხვა ბაასი არჩევნებზე მერე ჩვენ გამოვედით და შეუდექით ჩვენ საქმეს.

ჩემთან ერთად იყვნენ გიორგი დაფქვიაშვილი, შალვა ამირაჯიბი, რომან ჩიკოიძე, დ. ვაჩნაძე, გიორგი მაჭარაშვილი, ს. ყიფიანი, ივანე ციციშვილი და ალექსანდრე ციციშვილი.

ეს არის ჩემი პასუხი ბ-ნო იოსებ.

შალვა მესხიშვილი.

*) ეს წერილი დიდი-ხანია გამოგზავნილია რედაქციაში, მაგრამ, უადგილობისა გამო, დღემდის ვერ დაიბეჭდა. **რედ.**

მოწერილი ამბები

სოფ. ძველი-გავაზი (თელავის მაზრა). 9 თიბათვეს ჩვენს სოფელს ესტუმრა ბატ. ტფილისის გუბერნატორი მეუღლითურთ. ხალხმა სთხოვა დახმარება აღმოეჩინა და გაეხსნათ ჩვენს სოფელში ქსენონი და ფოსტა-ტელეგრაფი. ბატ. გუბერნატორმა დაპირებისამებრ 10 თიბათვეს გამოგზავნა თელავის მაზრის უფროსი ბატ. გამბერგი და მომრიგებელი შუამავალი ბატ. ზისერმანი რომლებსაც დაავალა ხალხის თხოვნა აღესრულებინათ შეადგინეს განაჩენი თანახმად მოწერილობისა გადასდეს 800 მ. და სახლი საფოსტო უწყებისთვის აქედან 600 მ. იკისრა ადგილობრივმა ინტელიგენციამ და მოვაჭრეებმა. ქსენონისთვის კი დაადგინეს გადაიხადონ კომლზე ორი მანეთი წელიწადში მხოლოდ ექიმს და ფერშალს გარდა ჯამაგირისა იმ შემთხვევაში როდესაც შინ მიიწვევენ აძლიონ ექიმს 40 კ. ფერშალს კი 20 კ. თუ ეს ნატვრა აგვისრულდა და არაფერმა არ დააბრკოლა ჩვენ სოფელს დიდი მომავალი აქვს.

ამ რამდენიმე წელიწადში დიდი ხალხი დასახლდა ჩვენს მიდამოებში ოსები, იმერლები, ლეკები და სხვა ესე 6500 კომლამდის. კვირაობით ბაზარიც იმართება. გვაქვს სასწავლებლები ორი საქინისტროდ ერთი საეკლესიო, და სამკითხველო საკუთარ სახლში. მდებარეობა და ბუნება შესანიშნავია, ამასა ისიც რომ მიუმატოთ, რომ ჩვენი სოფლიდამ მიდის გზა დაღესტანში სადაც საღდება აქაური მოსავალი, შეიძლება დაბეჯითებით ითქვას რომ ძველ-გავაზს კახეთში სოფელი არ შეედრება. ამ სიამოვნებას ხან და ხან ყაჩაღები ამწარებენ, ამას წინედ ყვარელის გზაზე მოჰკლეს ერთი გლეხი და ორი მეფურნე ქიზიყელი. შემდეგ ავარის გზაზე ყაჩაღებმა მოჰკლეს ლეკების მამასახლისი ყაყიღა, რომელიც სიკვდილის წინ ძალიან აწამეს. ჩვენი მაზრის უფროსი ბატ. გამბერგი გადაიყვანეს დუშეთის მაზრაში ამიტომ ისარგებლა ჩვენ სოფელში ყოფნით და ხალხს გამოეთხოვა.

ყრილობამ დაავალა ამორჩეულ კაცებს დეპეშით მადლობა გადაუხადონ ბატ. გუბერნატორს ესე მალე თხოვნის ასრულებისათვის.

მოსავალს საზოგადოდ კახეთში და კერძოდ ჩვენშიაც კარგი პირი უჩანს. ვენახები კი ძალიან დაეხარალა აპრილის თოვლმა და ყინვამ.

ვ. ყიფიანი.

ინგლისის საარჩევნო რეფორმა

ორი კვირის წინად ინგლისის საზოგადოებათა პალატამ პირველი წაკითხვის შემდეგ 274 ხმის უმეტესობით წინააღმდეგ 50 მიიღო ახალი ბილი საარჩევნო რეფორმისა. ლიბერალური სამინისტროსაგან შემუშავებულ კანონპროექტს აზრად აქვს უმთავრესად ვოტუმის მრავალძალიანობის მოსპობა, რომელიც იმაში მდგომარეობს, რომ ერთსა და იმავე პირს ერთსა და იმავე დროს უფლება აქვს მონაწილეობა მიიღოს სხვა და სხვა საარჩევნო ოლქში. კანონპროექტი ეხება აგრედვე ბინადრობის ვადის ექვს თვემდი შემცირებასა და უნივერსიტეტების ცალკე წარმომადგენლობის გაუქმებას.

დღეს დღეობით ინგლისელ ამომრჩეველთა რიცხვი რვა მილიონამდეა. თუ მხედველობაში მივიღებთ წლოვანობის ცვნზად 25 წელს, მაშინ ამომრჩეველთა რიცხვი, როგორც მცხოვრებთა უკანასკნელი ღწერიდან სჩანს, ათ მილიონამდე. აიწევს. ხოლო თუ ქალთაც მიეცათ საარჩევნო უფლება, რაც სამინისტრომ თავის თავად, პალატის დაუკითხავად, ვერ გადასწყვიტა, მაშინ კი ორივე სქესის ამრჩევლების რაოდენობა ოცი მილიონი იქნება.

პალატის ოპოზიცია, განსაკუთრებით უნიონისტები, წინააღმდეგი იყვნენ ასეთი კანონპროექტისა. მათი აზრით, თუ მართლაც საჭიროა საარჩევნო რეფორმა, იგი გარემ სრული უნდა იყოს, ე. ი. სწორუფლებიანი, რისთვისაც საჭიროა საარჩევნო ოლქების ხელახლა დაყოფა, რადგან თუ დღეს ინგლისის ერთი ოლქის, მაგ., რომპორტის 40.000 მცხოვრები ერთ დეპუტატს ირჩევს, ირლანდიის ოლქის კილკენის 1.500 ამრჩეველი იმდენსავე დეპუტატს გზავნის ინგლისის პარლამენტში, ასე რომ ირლანდიელი დეპუტატის ერთი ხმის ძალა ინგლისის 30 დეპ. ხმას უდრის, რაც სრულიად შეუფერებელი და უმართებულოა.

ასკვიტის კაბინეტი, რომელიც ძლიერია მხოლოდ ირლანდიელებისა და მუშების ბლოკით, რასაკვირველია, ვერ დასთანხმდებოდა უნიონისტების წინადადებას, რადგან ეს წინადადება მთავრობისათვის არასასურველ უკმაყოფილებასა და მღელვარებას გამოიწვევდა კაბინეტის ერთგულ ირლანდიელების მხრით. მით უმეტეს ვერ დასთანხმდებოდა პრემიერ-მინისტი ოპოზიციის წინადადებას, რომ მისი პროგრამის ქვაკუთხედი დღეს ირლანდიისათვის ჰომრულის მინიჭება გამხდარა, რომელიც უტკივრად შეასრულებს საარჩევნო ოლქების ხელახლად დაყოფის საქმეს, რადგან მაშინ ისედაც ძლიერ მცირე იქნება ირლანდიელ დეპუტატთა რიცხვი ინგლისის პარლამენტში.

აი სწორედ ამიტომ სახალხო განათლების მინისტრმა პიზმა პალატაში სამინისტროს ბილის შეტანის დროს განაცხადა, რომ, მართალია, ყოველ ეჭვს გარეშეა სრულწლოვანი ინგლისელისათვის საარჩევნო უფლების მინიჭების სამართლიანი პრინციპი და ოლქების დაყოფის გადათვალიერება, მაგრამ ამ საკანონმდებლო ზომას აუცილებლად წინ უნდა უძღოდეს სამინისტროს ახლანდელი ბილიო.

თუმცა ოპოზიცია, როგორც ვსთქვით, დიდი წინააღმდეგი იყო ბილისა, მაგრამ პალატამ ხმის დიდი უმრავლესობით **მიიღო** იგი.

ლენის ამბები

ლენის მუშების დამცველ კერენსკისაგან პეტერბურგს საშიში შინაარსის დეპეშა მოსულა.

კერენსკი იტყობინება:

„თუმცა მაღაროებში მუშაობა განახლდა, მაგრამ ატმოსფერა მოუღლოდნელობითაა გაჟღენთილი. მუშები ნდობით ვერ უცქერენ მაღაროების ძველ ადმინისტრაციას და ეშინიათ მის მხრით პროვოკაციის გამოწვევისა, რადგან მაღაროს დირექტორები აშკარად აცხადებენ, რომ გაფიცვაში მონაწილე მუშების მაღაროებში დატოვება შეუძლებელიაო.

უკანასკნელი დღეების განმავლობაში იყო ცდა გაფიცვის ხელახლად დაწყებისათვის, სურდათ გამოეწვიათ შეტაკება ძველსა და ახალ მუშებს შორის, რომელნიც გაფიცვის დროს მიიღეს, მაგრამ გამოცდილება და მშვიდობიანი განწყობილება გაფიცული მუშებისა ჯერ-ჯერობით აცუდებენ პროვოკატორთა მეცადინეობას.

არის ისეთი ნიშნები, რომ ყველა ამგვარი პროვოკატორული ცდა ერთ საზოგადო წყაროდან გამომდინარეს. მთავრობის წარმომადგენლისაგან დანიშნული გამოძიება ამ საქმის შესახებ, მოსალოდნელია, ბევრ საინტერესო რასმეს გამოაქვეყნებს.“

სპარსეთის ამბები

დეპეშები.

თავრიზი. შაჰსევნებს აგარის მცხოვრებთათვის მოწოდება გამოუგზავნიათ: რეშიდ ულ-მულკს ნუ დაიმორჩილებით, სამშობლოს მოღალატეა, სცდილობს სპარსეთი რუსეთს დაუმორჩილოს, საზოგადოდ რუსეთის დიდი მომხრეაო. შაჰსევნები მოუწოდებენ აგარალებს, შევვრთდეთ და რუსებს ვებრძოლოთ სისხლის უკანასკნელ წვეთამდეო.

თეირანი. დილის ცხრა საათზე მიწა ორჯერ ძლიერად იძრა.

ჩინეთის ამბები

დეპეშები

პეკინი. მთავრობის გაზეთი გარემონგოლეთის მდგომარეობის გამო ლაპარაკობს და ამბობს, მონგოლებს სრულიადაც არა ჰსურთ ავტონომია, ყველაფერი რუსეთის ბრალია, რომელიც ხუტუხტას საშუალებით მოქმედებსო. გაზეთი ააბობს, დარწმუნებული ვართ, რუსეთი მონგოლეთს ჩანთქავს, თუ ჩინეთის რესპუბლიკის სწორუფლებიან წევრად არ გადაიქცევაო მონგოლეთიო.

პეკინი. საეროვნო კრებამ დიდის უმრავლესობით მოიწონა საპრემიერო კანდიდატურა ლუჩენსიანისა.

პრეზიდენტის ბრძანებით პრემიერ-მინისტრად დანიშნა ლუჩენსიანი.

დეპეშები

(დეპეშათა ბეტერბ. სააგენტო)

საზღვარ-გარედ

17 და 18 ივნისი.

პოლონელნი და ჩეხელები.

პრაგა. „ნაროდნი ლისტსა“ და კრაკოვის გაზეთს „გლას ნაროდას“ პოლემიკა აქვთ პოლონელების საქციელის გამო, რომელთაც „შევარდენთა დღესასწაულში“, მონაწილეობა არ მოინდომეს. პოლონელები ამბობენ, არ გვინდა მონაწილეობა მივიღოთ იმ დღესასწაულში, სადაც მოგიწვევიათ რუსის რეაქციონერებიო. ჩეხელები უპასუხებენ, ჩვენ მაგას არ დავდევთ, მოვიწვიეთ ყველა რუსი, მიმართულების განურჩევლადაო.

გაფიცვები.

პარიზი. ნავთსადგურთა და გემთა ასაგებ ქარხნების მუშებმა დაადგინეს: თუ მეზღვაურთა მოთხოვნილებებს არ აუსრულებენ, დავავალოთ კავშირს იმ ღონისძიებას მიჰმართოს, რასაც საჭიროდ მიიჩნევსო.

ნიუ-იორკი. დამქირავებლებმა არ მოინდომეს გაფიცულების მოთხოვნილების ასრულება: მხოლოდ ორგანიზაციაში მყოფი მეზღვაურები მიიღეთ სამსახურშიო. ამიტომ მუშათა სინდიკატის ბელადებს გადაუწყვეტიათ საყოველთაო გაფიცვა გამოაცხადონ. იმედი აქვთ, სამოცდა ხუთმეტის ათასის მუშის მიმპრობისა.

ოსმალეთის ვილაიეთები.

სეიმენი. სტამბოლიდან აუწყებენ, აფიცერთა შეთქმულება ძალიან შეამჩნევიაო. ამბობენ, დიდი შეთქმულება არის მოწყობილი, სადაც აფიცერთა 80% არისო. შეთქმულნი მოითხოვენ ხაკის კაბინეთის წევრთა სამართალში მიცემას, ვისი ბრალიც არის, მათი აზრით, ოსმალეთ-იტალიის ომი. მოითხოვენ აგრედვე „ერთობისა და პროგრესის კომიტეტის წევრთა მოქმედების გამოძიებას და საპოლიტიკო საქმისათვის დასჯილთა სრულ ამნისტიასა.

სტამბოლი. უკმაყოფილო აფიცერთა ჯგუფს ფლოტის აფიცრებიც მიმხრობიან. ჯარის-კაცებს საიდუმლოდ აფიცებენ, თქვენიანებს ნუ ესვრით, თუნდა გიბძანონ კიდეცაო. მთავრობამ მონასტერში პოლკოვნიკი გაჰგზავნა, მოარჯულეთ როგორმე უკმაყოფილო აფიცრებიო.

ამბობენ, ჩერნოგორის გზით ალბანელებისათვის დიდძალი თოფ-იარაღი გაუგზავნიათო.

სტამბოლი. მთავრობამ პარლამენტის სასწრაფო კრება მოიწვია. მან შეიტანა პალატაში კანონპროექტი, რითაც სამხედრო პირებს პოლიტიკაში მონაწილეობა ეკრძალებათ და სწრაფად განსახილველად აღიარებაც მოითხოვა. კანონპროექტი უკამათოდ კომისიას გადასცეს: უმრავლესობას გადაუწყვეტია, ორშაბათს მივიღოთ უკამათოდ კანონპროექტი.

მიტროვიცა. ისა ბოლნტინაცს დიდძალი თოფ-იარაღი მიუღია და ლაბის მცხოვრებლებს ურიგებს, სადაც ამბოხებას ამზადებენ თურმე.

პრიშტინა. კოსოვოს ველზე, მურადის სიკვდილის წლის თავზე, დიდებული, დღესასწაული გაიმართა. დღესასწაულს ალბანელთა ფანატიზმის გაღვივება ჰქონია მიზნად, მაგრამ ამაოდ: ალბანელები ყველა ამას დაცინვით უყურებენ.

იპეკი. ფაზილ-ფაშამ მალესიისაკენ გაილაშქრა. იგი დადგა და ჯარი იპეკისაკენ გაგზავნა, თვითონ კოსოვოში წასულა. პრიზრენში ალბანელები თავს დასხმიან კანეოის, რომელიც იცავდა პურის ქარავანსა. კანვოელები გაქცეულან.

უსკიუბი. ამბობენ, იპეკის მუტესარიფს ჯაფარ-ფაიარს ითხოვენო. ეს დათმობაა ალბანელებისათვის. არტილერიის აფიცრებში დიდი მღელვარებაა.

სოფია. პალატაში შეტანილ კანონპროექტს აფიცრებში უფრო მეტი მღელვარება გამოუწვევია. აფიცერთა ერთს ნაწილს კანონპროექტი პროვოკაციად მიაჩნია.

რომი. „სტეფანის“ მერუადან ატყობინებენ, იტალიელები სიდისაიდის მაღლობებს თავს დაესხნენ და აიღეს კიდეცაო. ოსმალებისათვის მოუკლავთ 200 კაცი და ბევრი დაუჭრიათ. იტალიელებს ხელში ჩავარდნიათ დიდძალი თოფ-იარაღი და სურსათი. გაწვრთვნილი ჯარი ოსმალთა ბრძოლის დაწყებამდე წასულა. შებრძოლებიან იტალიელებს მხოლოდ არაბები. იტალიელებისათვის მოუკლავთ 10, დაუჭრიათ 78 კაცი. გუშინ მოუკლავთ 11 კაცი.

რუსეთი

იოანნიტების დაგმობა სინოდის მიერ.

პეტერბურგი. გამოაცხადეს სინოდის ბრძანება მართლმადიდებელთა ეკლესიისადმი. ბრძანება არკვევს იოანნიტების ცრუმორწმუნობას და მოძღვრებას და უწოდებს „ხლისტუბს“ კისილიოვის ყალიბისას. ბოლოს დასძენს, ყველამ მოინანიეთ, ვისაც რაიმე შეგიცოდებიათ მაგათის მეოხებითაო.

წერილი რედ. მიმართ

ბატონო რედაქტორო!

რესტორან „ბომონდისა“ და სასტუმრო „ვერსალი“-ს მოსამსახურენი გთხოვთ ამასთანავე წარმოდგენილი ფული გადასცეთ ქართულ გიმნაზიასთან არსებულ უფასო სასადილოს, იაკობ გოგებაშვილის სახელის აღსანიშნავად. აი შემომწირველთა სიაც:

ალფეზ დავითულიანი 1 მან., მარკოზ ციხისელი, დათიკო გელოვანი, იაკობ მონიავა, გიორგი დათაშვილი, იორდანე ჩალაძე, ლავრენტი გვალია, ევგენ კერელეიშვილი, მიშა კანდელაკი, თომა მღებრიანი, ლევან ბონჯგუა, ვალოდია ცხვედიანი, ვასილ გვენცაძე, ვანო ებ-

რიძე, ისიდორ კირვალიძე და ვასილ ქანდარია 50 კაპ. გერასიმე გველესიანი, 60 კ. ვასილ ხუციძე და ღადიმერ ჩოლაია, 30 კ. მინა ჯანელიძე, მინა გობეჯიშვილი და ამბაკო ბაკურაძე 10 კ. სულ 10 მან.

რედაქტორ-გამომცემელი
ნ. კურდღელაშვილი.

გამოსაღები ცნობა

მატარებელთა მიმოსვლა
(საზაფხულო).

(დრო აღნიშნულია ტფილისის საათით).

ტფილისიდან გადის.

ბაქოსაკენ: ჩქარი მატარ. № 2, პლაცკარტით დილის 10 ს. 8 წ. **საფოსტო** № 4, ღამის 12 ს. 10 წ. **სახალხო** № 6, ნაშუადღ. 2 ს. 44 წ. **ნარევი** მე-V კლ. ვაგ, ან მე-[illegible], დილის 4 ს. 37 წ.

ბათუმისაკენ: ჩქარ. მატ. № 11, პლაცკარტით ღამის 10 ს. 41 წ. **საფ.** № 3, დილ. 9 ს. 41 წ. **სახ.** № 5, საღ. 6 ს. 36 წ. **ნარევ.** მე-IV ან მე-III კლ. ვაგ. დილ. 6 ს. 18 წ.

ბორჯომისაკენ: სახ. № 7/8 დილ. 7 ს. 58 წ. **სახ.** № 9/10 ნაშუადღ. 3 ს. 5 წ.

მცხეთაში: საგარაკო № 77 a **. **მატ.** № 77 a **, ნაშუადღ. 3 ს. 55 წ. **საგარ. მატ.** № 77 **, დილ. 8 ს. 45 წ.

ჯულუფისკენ: საფოსტო № 74/75 ღამის 12 ს. 40 წ.

ერევნისაკენ: სამგზ. და **საბარგო მატ.** № 78/79, მე-[illegible] და მე-[illegible] კლ. ვაგონ., საღ. 7 8 წ. **სახ.** და **საბარგ. მატ.** № 109|104 [illegible] კლ. ვაგ. დილ. 11 ს. 28 წ.

ტფილისში მოდის.

ბაქოდან: ჩქარ. მატ. პლაცკარტ. № 1, საღ. 9 ს. 56 წ. **საფ.** № 3, დილ. 8 ს. 41 წ. **სახ.** № 5, ნაშუადღ. 5 ს. 51 წ. **ნარ.** მე-V ან მე-[illegible] კლ. ვაგ. № 107, დილ. 4 ს. 56 წ.

ბათომიდან: ჩქარ. მატ. პლაცკ. № 12, დილ. 9 ს. 18 წ. **საფ.** № 4, საღ. 11 ს. 15 წ. **სახ.** № 6, ნაშუადღ. 1 ს. 59 წ. **ნარ.** მე-IV ან მე-[illegible] კლ. ვაგ. № 106, ღამ. [illegible] ს. 40 წ.

მცხეთიდან: საგარაკ. № 76 a*, საღ. 8 ს. 28 წ. **საგ.** № 76 **, ნაშუადღ. 1 ს. 28 წ.

ბორჯომიდან: სახ. № 9|10 საღ. 9 ს. 8 წ. **სახ.** № 7|8, დილ. 7 ს. 8 წ.

ჯულფიდან: საფ. № 72|73, დილის 7 ს. 26 ს. **ერევნიდან საქონ.** და **სახ.** № 80|81, შუადღის 12 ს. 48 წ. **საქონ.** და **სახ.** № 110|1[illegible], ღამ. 8 ს. 33 წ.

ექიმ ნავასარდიანის პირველი პერძო სამკურნალო

დაარსებულია 1880 წელს.
(ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ).

ავადმყოფების მიღება ყოველ დღე გარდა კვირისა.

დ ი ლ ი თ:

„606“ — 11—12 ს. შეუზაკუნება

კონსულტატიურად.

ბ. ა. ნავასარდიანი: 11—12 ს. ქირურგიული, და ვენერიული (სიფილ.) ავად.

ბ. გ. აგასაროვი: 1—2 ს. შინაგანი ბავშვთა ავადმყ.

კ. მ. ჩიქოვანი: 9½—10 ს. თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

ზ. ი. ბაბანასოვი: 10—11 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა,

ნ. ტ. მულინი: 10—12 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.

მ. გ. ავეტისიანცი: 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ., საშ. და ქირურგ.

გ. ი. გურგენოვი: 12—1 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.

ა. პ. კარაპეტიანცი: 12—1 ს. შინაგანი საბავშვო და ყვავილის აცრა.

ექიმი ქალი **ე. ნ. ამბრუმოვა-მელიქიანი** 1—2 ს. საბებიო და ქალების ავადმ.

ს ა ღ ა მ ო თ ი:

მ. გ. ავეტისიანცი: 6—7 საათ. რჩევა-დარიგება 50 კაპ. ხელმოკლეთათვის უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები ძორიგებით.

სამკურნალოს დირექტორი მედიცინის დოქტორი **ბ. ა. ნ. გასარდიანი.**

(წ. 1074.79)

ექიმი ა. ნ. დიასამიძე

კანისა და ვენერიულ ავადყოფებს იღებს ყოვ.-დღე ნაშუადღ. 2—3 ს. საღამ. 6—7 ს. ხუთშაბ. მხოლოდ დილ. 8—9 ს. კვირ. ავადმყ. არ იღებს. მოსკოვის ქუჩა, № 3. ს. გაბაშვილისა. (7)

იყიდება ლიმონადის ქარხანა

„ შ ვ ე ი ცა რ ი ა“

ნაძალადევში

მთელი თავის მოწყობილობით, რადგანაც ტფილისიდან გადმოვიტანთ. ცნობებისთვის მიმართეთ **ნაძალადევში, აფანასიევის ქ. № 3, კვეთიაშვილს.** (25—492—17)

სახელოვნო და საწყობი

ძეგლეგისა.

ძმ. აგლაძეების.

მიხე ლის პროსპ. № 48.

ვდგებულობ ყოველნაირს მარმარილოს, ლაბარატორის გრანიტის და ყოველნაირ მოზაიკის სამუშაოს, იატაკებსა და სხვებს ხელმისაწდომ ფასებში.

(0.—522—1)

ყოველ-დღე მოგვდის:

ახალ-ახალი ხიზილალა (ქიტკა) **2** მ. **40** კ გირ. ბოჩკის ხიზილალა **1** მ. **20** კ. გირ. წითელი ხიზილალა, ზუთხი, თართი, ლოქო, ფარგა, ლობრი, სალიანის თევზეულობა, და ყოველგვარი გამოსუული თევზი

თევზის მრეწველნი

ძმ.

ძეგველოვები.

პუშკინის ქ., საკუთარი ხ. № 9.

(წ.—1131—85) **ტ ე ლ ე ფ ო ნ ი № 712.**

შეუშხეა „ჩვენი გემო“ კვასი

დღე არ გაივლის ისე, რომ ჩემმა ნაცნობ-მეგობრებმა საყვედური არ მითხრან; კვასმა „გემომ“ თავისი უწინდელი ღირსება დაჰკარგა და ეს არ უნდა მოგსვლოდა. საყოველთაოდ ვაცხადებ, რომ ჩვენ არავითარი საერთო არა გვაქვს „გემოსთან“. ჩვენ როგორც მისმა დამაარსებელმა და მოხელემ გავაუქმეთ ის და მის მაგიერ დავაარსეთ „**ჩვენი გემო**“ და თუ „გემოს“ სახელით უშვებს ვინმე კვასს, ეს მხოლოდ სიყალბეა. და ამისთვის მაქვს პატივი ვაუწყო პატივცემულ საზოგადოებას, რომ ვისაც აინტერესებს კარგი ღირსების ნადუღი წყლიდან დამზადებული პურის კვასი მოითხოვოს ყველგან „**ჩვენი გემო**“ და არ აურიონ ის მის მზგავს ფირმებში.

პატივისცემით **მათე გორგილაძე** და **ამხანაგობა.**

მისამართი: სუდებნი ქუჩა სახლი № 6. (20.1096.14)

ხელოვნურად შეზავებული

სამკურნალო და ხილეულოგის

წ ყ ა ლ ი

მიტროფანე ლალიძე და ამხ.

მზადდება საუკეთესო ხილეულის წვენისაგან, წმინდა შაქრით, ქიმიურად გაწმენდილი მასალებისაგან, გამოხდილი და ნადუღი წყლით.

გემო და სუნი საამური აქვს.

ფირმა დაჯილდოვებულია წყლის საუკეთესო ღირსებისათვის დიდ-ოქროსა და ვერცხლის მედლებით და ცნობილია სრულიად უვნებლად ტფილისის გუბერნიის სამკურნალო მართველობისაგან № 5792.

ქარხნები იმყოფება: **ტფილისში გოლოვინის პროსპ. № 5**

(25.1160.25) **ტელეფონი № 411, ქუთაისში — პუშკინის ქუჩა № 6.**

ქ. შ. წერა-კითხ. გამ. საზოგ. წიგნის მაღაზიაში

ისყიდება წიგნები: ისტორია, საეკლესიო და საისტორიო მასალები:

ათონის ივერიის მონასტრის 1074 წ. ხელთნაწ. აღაპები ფასი 1—50 კ.
ბატონიშვილი დავით. მასალები საქართ. ისტორიისთვის 1—
ბაქრაძე დ. ახალი გამოკვლევა ისტორიის წინა დროებაზე ქართვ. ტომის დასაწყისზე 15 „
საქართველოს ისტორია I ოქველეს დროდან მე-X ს. დასასრ. 1—
პროფ. პატკანოვი და ქართ. ისტორიის წყაროები . . 20 „
ქართველი ქალები . . . . 10 „
პონტის მეფე მიტრიდატ დიდი 10 „
ბროსსე. საქართ. ისტორ. ნაწ. I, 70 „
„ „ „ „ II, 70 „
ბარათაშვილი. საქართ. ისტ. I 30 „
„ „ „ რვ. II, 30 „
ე. კ. წმ. დავით III აღმაშენებელი მეფე ქართველთა 5 „
ვახუშტი ბატონიშვილი. საქართველოს ისტორია . 2
იმერეთის ისტორია . . . 30 „
თამარაშვილი მიხ. მღვ. ისტორია კათოლიკ. ქართ. შორის 2—
თაყაიშვილი ე. ახალი ქართული წმ. ნინოს ცხოვრებისა ანბანნაწ. ქართული მოქცევისა 40 „
არხეოლოგ. მოგზ. და შენიშ. 1—
სამი ისტორიული ქრონიკა 1—
იმერეთის მეფე სოლომონ დიდი 10 „
იზაშვილი პ., ქართ. კათოლიკ. 10 „
ქართველ კათოლიკეთა შესახებ 10 „
იოსელიანი გ. ქართ. წმიდანები 40 „
იოსელიანი პლ. ცხოვრება მეფე გიორგი XIII და საქართ. ველოს რუსეთთან შეერთება 1—
ისარლ. ლ. ქართ. კათოლ. საქარ. 10 „
კალისტრატე მღვ. მონოს. ხოპის მონასტერი . . . 10 „
კარიჭაშვილი დ. წიგნის ისტ. 20 „
საქართველო მე-XII საუკ. . 40 „
ხიმონ მეფე . . . . . 10 „
საქართველო. მოკლე ისტორია 40 „
როსტომ მეფე . . . . . 10 „
თამარ მეფე . . . . . 15 „
ძველი ანჩისხატის ტაძარი . 30 „
იერარქია საქარ. ეკლესიისა: კათოლიკ. და მღვდ.-მთავარნი 1—

ადრესი: Тифл. О-во распр. грамотн. сред груз. насел. (წ. 1141.67)

ტ ფ ი ლ ი ს ი ს ქ ა ლ ა ქ ი ს

გამგეობა საოყველთაოდ აცხადებს, რომ 20 ივნისს, შუადღის 12 საათზე, გამგეობის საკრებულოში დანიშნულია

საჯარო ვაჭრობა

გოლოვინის პროსპექტსა და მამადავითის ქუჩაზე მდებარე **მაღაზიის № 13 იჯარით** გასაცემად.

პირობების გაგება შეიძლება გამგეობის კანცელარიის მეოთხე განყოფილებაში, დილის 9 საათიდან, ნაშუადღევის 2 საათამდე. (3—1334—3)

1912 წ. მიიღება ხელის მოწერა

დასურათებულ საყმაწვილო ჟურნალ

„ნ ა კ ა დ უ ლ“-ზე

წელიწადი მერვე.

ჟურნალი გამოვა ჩვეულებრივი პროგრამით და საგანგებოდ არჩეულ სარედაქციო კომისიის ხელმძღვანელობით, მონაწილეობას ღებულობენ ჩვენი ცნობილი მწერლები და პედაგოგები.

წლიურ ხელის მომწერლებს მიეცემათ:

24 **წიგნი** „ნაკადულისა“ მცირე წლოვანთათვის; **12** **წიგნი** „ნაკადულისა“ მოზრდილთათვის.

საჩუქრად მიეცემათ წლიურ ხელის მომწერლებს **დასურათებული 120-ზე მეტი ორიგინა-[illegible]—[illegible] ლური იგავ-არაკი ალ. მირიანაშვილისა.**

ფასი ჟურნალისა; წლიურად ორივე გამოცემა 5 მან., ნახევარ წლით—3 მან. ცალ-ცალკე: მცირე წლოვანთათვის 24 წიგნი—3 მან. მოზრდილთათვის 12 წ. 3 მ. ფულის შემოტანა შეიძლება ნაწილ-ნაწილადაც.

ხელის მოწერა მიიღება **ტფილისში** „ნაკადულის“ რედაქციაში, გოლოვინის პროსპექტზე, ზუბალაშვილების სახ. Голоовинский проспк. д. № 8 და წერაკითხვის საზოგადოების მაღაზიაში. **ქუთაისში:** ისიდორე კვიკარიძესთან, თ. ითავერიშვილთან, მარიამ ყაუხჩიშვილთან და „ნაკადულის“ აგენტებთან; **სამტრედიაში**—ივანე გლადკოვთან, **ფოთში**—თეოფილე კახდელაკთან, **ბათომში**—კნ. სოფიო ნაკაშიძესთან და ტრაფიმ ინასარიძესთან, **დ. ხონში**—ეკატერინე ვასილის ასულ ბახტაძესთან, **ოზურგეთში**—ლეო იმნაძესთან, **თელავში**—ვანო პაატაშვილთან, **ახალციხეში**—კონსტანტინე გვარამაძესთან, **ბაქოში**—ვასილ ანდღლიანთან და ივანე ელიავშვილთან, **გორში** ნინო ლომაურთან და ქნ ჯავახიშვილთან, **სოხუმში**—კნ. მარიამ ანჩიბაძესთან, **ჭიათურაში**—ივანე გომელაურთან, **განჯაში** ბ. ამბოკაძესთან და **ერევანში** კ. ოდაშარიასთან.

რედაქტორი **ნინო ნაკაშიძე.**

(წ.—1627—74 წ.) გამომცემელი **თავ. პავლე იოანეს ძე თუმანიშვილი.**

კ ვ ი რ ი კ ო ბ ა

წ ე ვ ი ს ი ა რ მ უ კ ა-ბ ა ზ რ ო ბ ა

არეულობის დროს დროებით დაიხურა წევის იარმუკა, წელს კი მთავრობის ნებართვით კვლავ გაიხსნა.

ბაზრობა იქნება 15—16,—17 კვირიკობის თვეს.

დამზადებულია კარავები და სახლები ვაჭრებისათვის ახლობელი სადგური, საიდგანაც ვაჭრებს შეუძლიანთ საქონლის მოტანა, სადგური—**ძირულაა.** 12—15 კვირიკობის თვემდის ძირულაში დამზადებული იქნება ურმები საქონლის ასატანად—გზა მშვენიერად გაკეთებულია.

მღვდელი **მაკარ გაჩეჩაძე.** (1—1341—1)

= სრული ცვლილება საგრამაფონო საქმისა. =

გაუმჯობესებული გრამოფონები: სრულიად ალარ შიშინებს

გასასყიდად ახლად გამოსულ ამურფიბრის ნემსის წყალობითა.

ამ ნემსის წყალობით ფირფიტები მთელს საუკუნოებს გასძლებენ. მივიღეთ უკანასკნელად შემზადებული აურაცხელი გრამოფონი. ვისაც უნდა შეიძინოს, შეიძლება ფასის, ცოტ-ცოტათი

სხვა და სხვა დროს გადახდა.

გვაქვს ახალი ფირფიტები ნამღერალი სარაჯიშვილისა და ბაგრატასი.

ტ ფ ი ლ ი ს ი,
გოლოვინის პროსპ., 6, საკრებულოს ქვეშ.

საკავშ. სახ. პომპ. გ რ ა მ ო ფ ო ნ ი
პატივ. **ბ. ს. დავიდოვი.**

(1.1343.1)

ტფილისი, მუხრანის ქუჩა 12, სტამბა „შრომა“.